მედიის პროგრამი:

თბილისი, 5-6 ივლისი, 2021

Media Advocacy Coalition
კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის

მედიის პროგრამი:

თბილისი,
5-6 ივლისი, 2021

Media Advocacy Coalition
კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის

მედიის პოგრომი:
თბილისი, 5-6 ივლისი, 2021

გარეკანზე მარიამ ნიკურაძის ფოტო
კოლეგები ლექსო ლაშქარავას დახრილი კამერებით აცილებენ

Media Advocacy Coalition
კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის

თბილისი
2021

სარჩევი

მეთოდოლოგია 4

შესავალი 6

თავი 1
5 და 6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია 9

1.1. მედიაზე მასშტაბური თავდასხმის წინაპირობები 10

1.2. მედიისთვის მიყენებული ზიანი 12

ლექსო ლაშქარავას საქმე 15

1.3. ონლაინ ძალადობა მედიაზე და დისკრედიტაციის კამპანია 16

თავი 2
ვინ და როგორ იცავს 5 და 6 ივლისს დაზარალებული ჟურნალისტების და ოპერატორების ინტერესებს 21

2.1. პოლიციის მიერ ჩატარებული ღონისძიებები და სამართალწარმოება 22

2.3. სამოქალაქო სექტორის სამართლებრივი მხარდაჭერა 25

თავი 3
მედიის პროტესტი 5 და 6 ივლისის დარღვევებზე 27

თავი 4
ძალადობისკენ მოწოდება თუ უხამსობა – კომუნიკაციების კომისიის განმარტება 31

თავი 5
რას პასუხობს საქართველოს ხელისუფლება დაზარალებულ ჟურნალისტებს და ოპერატორებს? 33

5.1. საქართველოს პრემიერ – მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებები 34

5.2. შინაგან საქმეთა მინისტრის პოზიცია 35

თავი 6
სასულიერო პირების ჩართულობა 37

თავი 7
საერთაშორისო გამოხმაურება 5 და 6 ივლისის მოვლენებზე 41

რეკომენდაციები 44

მეთოდოლოგია

დოკუმენტში შეფასებულია 2021 წლის 5 და 6 ივლისს თბილისში მედიაზე მასშტაბური თავდასხმის წინაპირობები, ძალადობრივი მოვლენები და შედეგები: ჟურნალისტებისა და ოპერატორების დაზიანების ფაქტები და ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ხელშეშლის შემთხვევები, სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობა და მიზანშეწონილობა. ასევე, განხილულია 5 – 6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით დამნაშავე პირების გამოვლენის, დაკავებისა და სასამართლოებში საქმის წარმოების პრაქტიკა.

დოკუმენტი მომზადდა სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით,
მათ შორისაა:

- **ფაქტების მოძიება** – ღია წყაროებით გავრცელებული როგორც ვიდეო, ისე აუდიო და ბეჭდვითი მასალებიდან. ასევე, გამოყენებულია დაშავებული ჟურნალისტების, ოპერატორებისა და მედიამენეჯერებისაგან მიღებული ინფორმაცია, რომელიც საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ დაამუშავა.

- **სოციალური ქსელების მონიტორინგი** – კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ ეყრდნობა პარტნიორი ორგანიზაციის – ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდის მიერ მომზადებულ ანგარიშებსა და შეფასებებს ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან ონლაინმედიისა და სოციალური ქსელების მედიის დისკრედიტაციისთვის გამოყენების თაობაზე. მონიტორინგის ინსტრუმენტს წარმოადგენდა ფეისბუკის ანალიტიკური ხელსაწყო – CrowdTangle.

- **საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა** – დოკუმენტში გამოყენებულია ოფიციალური უწყებებიდან გამოითხოვილი საჯარო ინფორმაცია (შინაგან საქმეთა სამინისტრო, თბილისის საქალაქო სასამართლო).

- **სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზი** – კოალიციამ „მედიის ადვოკატირებისთვის“ წევრი პარტნიორი ორგანიზაციების – ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ა(ა)იპ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI) და ა(ა)იპ „უფლებები საქართველო“, მეშვეობით შეისწავლა და შეაფასა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობების დაკისრების პრაქტიკა და სახელმწიფოს რეაგირების სამართლებრივი მექანიზმები, ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ (TI) კი, სახელმწიფოს წინააღმდეგ ადმინისტრაციული დავების წარმოებისათვის დაიწყო მომზადება.

- **კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეფასება** – კოალიციამ „მედიის ადვოკატირებისთვის“ პარტნიორი ორგანიზაციის – ა(ა)იპ „მედიის უფლებებისთვის“ მეშვეობით შეისწავლა და შეაფასა კომუნიკაციების კომისიის მიერ ძალადობრივ პროცესებში მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირების, (შპს „ალტ ინფოს“ საქმე), მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

- **კანონმდებლობის ანალიზი** – წინამდებარე დოკუმენტში გაანალიზებულია მედიისა და ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ხელშეშლის აღკვეთის შესაბამისი სამართლებრივი გარანტიები.

შესავალი

2021 წლის 5 და 6 ივლისს თბილისში უპრეცედენტო მასშტაბის თავდასხმა[1] მოხდა, ძალადობრივი ულტრამემარჯვენე ჯგუფები მედიის წარმომადგენლებს წინასწარი განზრახვით დაესხნენ თავს, მიაყენეს ფიზიკური დაზიანებები და სიტყვიერი შეურაცხყოფა, მიზანმიმართულად დაუმტვრიეს ტექნიკა[2], რათა მათ ხელი შეშლოდათ ჟურნალისტურ საქმიანობაში.

ოფიციალური ინფორმაციით, სულ დაშავებულია 10-ზე მეტი მედიასაშუალების 53 ჟურნალისტი, ოპერატორი და ფოტოგრაფი. მათი ნაწილი მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს და კვლავაც საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას. 11 ივლისს „TV პირველის“ ოპერატორი ალექსანდრე (ლექსო) ლაშქარავა, რომელიც პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისში ათობით თავდამსხმელის ძალადობის მსხვერპლი გახდა, საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. თავდასხმის შემდეგ ლექსო ლაშქარავას დაზიანებული ჰქონდა სახის ძვლები და ჩაუტარდა ქირურგიული ოპერაცია.

წინასწარ ორგანიზებული ულტრამემარჯვენე ჯგუფები, რომლებიც თავდაპირველად ძალადობრივი ჯგუფების მოწოდების შესაბამისად[3] თბილისში, რუსთაველის მეტროსა და ქაშუეთის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიკრიბნენ ლგბტქ+ „ღირსების მარშის“ გაუქმების მოთხოვნით, სხვადასხვა ლოკაციაზე უსწორდებოდნენ ჟურნალისტებს, ოპერატორებსა და ფოტოგრაფებს. ანგარიშსწორების საშუალებად გამოყენებული იყო დროშები, ბოთლები, ჯოხები, ჯვრები, კომბლები და მოტოციკლიც კი.

მოძალადე ჯგუფებმა ჯერ რუსთაველის გამზირზე ხელისუფლების წინააღმდეგ გაშლილი კარვები დაშალეს[4], შემდეგ კი, პარლამენტის წინ აღმართული ევროპის დროშა ჩამოხსნეს და ჯვარი აღმართეს[5].

აქტივისტებმა, პოლიტიკოსებმა და მოქალაქეებმა 5 ივლისს თბილისში განხორციელებული ძალადობრივი დარბევის გასაპროტესტებლად 6 ივლისს[6] რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ მდუმარე აქცია გამართეს. აქციას „თბილისი

1. განცხადება: ჟურნალისტებზე მასშტაბური ძალადობის შესახებ ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2WMJr1O
2. სტატია: „5 ივლისის ძალადობის ჯგუფურ ორგანიზებაზე მიუთითებს ყველაფერი, გამოძიების გარდა“ ხელმისაწვდომია: : https: //bit.ly/3DEYqM8
3. სტატია: „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეები რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე იკრიბებიან, მათ შორის არიან სასულიერო პირები ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3kMB7qP
4. სტატია: ჰომოფობიური აქციის წევრებმა პარლამენტთან „ოცნების“ მოწინააღმდეგეთა კარვები დაარბიეს. ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3gSefFq
5. სტატია: „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეებმა პარლამენტთან ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს და ჯვარი აღმართეს ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3jzIt1w
6. ფოტორეპორტაჟი პარლამენტთან გამართული მდუმარე აქცია ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2V4RRkn

პრაიდის“ წევრები შეუერთდნენ. აქციის მონაწილეებმა ლგბტქ+ დროშა გაშალეს და ფერადი კვამლი გაუშვეს.[7]

მდუმარე აქციის პარალელურად რუსთაველის გამზირის მეორე მხარეს, ქაშუეთის ეკლესიასთან ძალადობრივი და ჰომოფობიური ჯგუფის წევრები შეიკრიბნენ. ისინი პარლამენტის წინ გადასვლას ცდილობდნენ, მაგრამ მათ პოლიციის კორდონი აკავებდა. „მდუმარე აქციის“ დასრულების შემდეგ, როდესაც პოლიციამ კორდონი გახსნა და ძალადობრივ ჯგუფებს პარლამენტთან მისვლის საშუალება მიეცათ, მათ პარლამენტის წინ ევროპის დროშა კვლავ ჩამოხსნეს, დაწვეს და სანაცვლოდ საქართველოს დროშა აღმართეს.[8]

მეორე დღეს, 7 ივლისს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, კახა კუჭავამ განაცხადა, რომ „მიუღებელია ევროკავშირის დროშის დაშვება. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე მუდმივად დგანან. მათი წვლილი საქართველოს განვითარებაში ფასდაუდებელია“ და საკანონმდებლო ორგანოს წინ ხელახლა აღმართა ევროკავშირის დროშა[9].

სამოქალაქო სექტორის წინასწარი მოწოდებების მიუხედავად, სახელმწიფომ არ დაიცვა მოქალაქეთა უსაფრთხოება, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კი პირადი განცხადებით წაახალისა მოძალადე ჯგუფების აგრესია.

მოძალადე ჯგუფები თავს ესხმოდნენ თითქმის ყველა მედიასაშუალების წარმომადგენელს. განსაკუთრებული აგრესია გამოვლინდა ოპერატორებისა და ფოტოგრაფების მიმართ. ონლაინმედიის წარმომადგენელებმა უსაფრთხოების მიზნით მაიდენტიფიცირებელი ნიშნები მოიხსნეს. საყურადღებოა, რომ მუშაობაში ხელი არ შეშლია რუსულ და რუსულენოვან მედიას.

ლაშქარავას გარდაცვალების შემდეგ მედიაორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, აქტივისტები და ოპოზიციონერი პოლიტიკოსები მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებდნენ და მოითხოვდნენ პრემიერისა და შს მინისტრის გადადგომას.

დაშავებული ჟურნალისტების, ოპერატორებისა და ფოტოგრაფების უმეტესი ნაწილის ინტერესებს არასამთავრობო ორგანიზაციები იცავენ, ნაწილის წარმომადგენლობა კი – თავად მედიაორგანიზაციებმა გადაწყვიტეს.

ჩადენილი მრავლობითი დარღვევების საპასუხოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ დროისათვის ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ხელშეშლის ფაქტზე მხოლოდ 31 პირი დააკავა. მიუხედავად იმისა, რომ თავდამსხმელთა ნაწილის იდენტიფიცირება თავად ჟურნალისტებმა შეძლეს, ასევე, არსებობს ორ-

7. სტატია: „პარლამენტთან აქციაზე Tbilisi Pride-ის წევრებმა ლგბტქ+ დროშა გაშალეს და ფერადი კვამლი გაუშვეს“ ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3yApN6f
8. სტატია: „ძალადობრივმა ჯგუფებმა პარლამენტთან ევროკავშირის დროშა ისევ ჩამოხსნეს“ ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3zFzCB9
9. სტატია „პარლამენტთან ჩამოგლეჯილი ევროკავშირის დროშა კახა კუჭავამ აღმართა“ ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3gRJxfJ

განიზატორთა[10] ძალადობრივი მოწოდებებისა თუ ქმედებების ამსახველი ვიდეო-მასალა[11] და მათ თავადაც არაერთხელ დაადასტურეს[12] 5 და 6 ივლისის ძალადობრივ მოვლენებში მონაწილეობა, ამ დრომდე სამართალდამცავებს მასშტაბური ძალადობის ორგანიზებისათვის არავინ დაუკავებიათ.

ხელისუფლების წარმომადგენლები კვლავაც აგრძელებენ მედიის წარმომადგენლების დისკრედიტაციას და აგრესიული დამოკიდებულებით პასუხობენ კრიტიკულ კითხვებს. მმართველი გუნდის პოლიტიკას იმეორებს საქართველოს საპატრიარქოც, რომელმაც მიმდინარე მოვლენების შესახებ არაერთი მოწოდება გაავრცელა.

27 ივლისს გამომძიებელ ჟურნალისტთა ჯგუფმა, „აი, ფაქტმა“ გაავრცელა კვლევა „მღვდლები ძალადობრივ აქციაზე”[13] და გამოაქვეყნა იმ სასულიერო პირების სია, რომლებმაც 5 ივლისის მოვლენებს ხელი შეუწყვეს მრევლის წინასწარი მობილიზებით, ორგანიზატორების იდეოლოგიური მხარდაჭერით, ან პირდაპირი გაგებით, მათ გვერდში დგომით. ისინი სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოებზე ძალადობრივი დაჯგუფებების: „ალტერნატივა საქართველოსთვის“, „ალტ-ინფო“ და „ქართული იდეის“ ლიდერებთან ერთად დგანან.

თბილისში მომხდარი ძალადობა არაერთი საერთაშორისო გამოხმაურების საფუძველი გახდა, ისინი ახსენებენ საქართველოს ლიდერებს და სამართალდამცველ ორგანოებს ვალდებულებას, დაიცვან გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების კონსტიტუციური უფლებები და პასუხისგებაში მისცენ ძალადობაში მონაწილე პირები.

2021 წლის 06 სექტემბერს სახალხო დამცველმა ზურაბ მახარაძისა და სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით პროკურატურას მიმართა.[14]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საჯაროდ ხელმისაწვდომი მტკიცებულებები აღწევს დასაბუთებული ვარაუდის, ანუ ბრალის წარდგენის სტანდარტს, რათა 2 პირის მიმართ დაწყებულ იქნას სისხლისსამართლებრივი დევნა ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ასევე, ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტებზე.

10. დოკუმენტური მასალა „სირცხვილიას“ ოფისსა და ლექსო ლაშქარავაზე თავდასხმის ქრონოლოგია ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3t6sZFq
11. დოკუმენტური ფილმი „5 ივლისის ორგანიზება“ ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/38tPOJO
12. გადაცემა „თავისუფალი ბაზარი“ სტუმარი: ალტ ინფოს დამფუძნებელი კონსტანტინე მორგოშია. 17: 18- 17: 28 წთ ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2Y6Ppej
13. კვლევა „მღვდლები ძალადობრივ აქციაზე“ ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3t6oKJZ
14. განცხადება: სახალხო დამცველი 5 ივლისს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ძალადობისკენ მოწოდების ფაქტებზე 2 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას მოითხოვს ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3BONM3K

თავი 1

5 და 6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია

ფოტოკოლაჟის ავტორი: მედიაჩეკერი
The author of the photo: Media checker

1.1. მედიაზე მასშტაბური თავდასხმის წინაპირობები

2021 წელს საქართველოში ჟურნალისტთა უფლებების დარღვევის შემთხვევები კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. სამოქალაქო საზოგადოება[15] უკვე დიდი ხანია ამბობს, რომ ხელისუფლება არ უზრუნველყოფს ჟურნალისტების უსაფრთხოებას, ხოლო ბოლო წლებში მათზე განხორციელებული თავდასხმები უმეტესად გამოუძიებელია.

არჩევნების, აქციებისა თუ სხვა საკითხების გაშუქების პროცესში მედიის წარმომადგენლები ხშირად იყვნენ[16] სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმის ობიექტები.

2021 წლის 5 ივლისს მედიაზე მორიგი თავდასხმა ხელისუფლების წაქეზების შემდეგ მასშტაბურ ძალადობაში გადაიზარდა. ამ დღეს „თბილისი პრაიდის“ ორგანიზებით რუსთაველის გამზირზე „ღირსების მარში“ იყო დაგეგმილი. „პრაიდის კვირეული“ ლგბტქ+ თემისათვის წარმოადგენს პოლიტიკური ადვოკატირების მშვიდობიან იარაღს, გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების შესაძლებლობას, რომლის დროსაც თემი ხაზს უსვამს საკუთარ საჭიროებებსა და მიღწევებს. მის წევრებსა და მხარდამჭერებს კი ეძლევათ შესაძლებლობა, ქუჩაში გამოვიდნენ თანასწორობის მისაღწევად და გამართონ სხვადასხვა ღონისძიება.

საქართველოში ამ ღონისძიებას კვლავაც უქმნიან საფრთხეს ულტრამემარჯვენე ჰომოფობიური ჯგუფები, რომლებიც საჯაროდ მოუწოდებენ საზოგადოებას აგრესიისა და ძალადობისკენ. 5 ივლისის ღონისძიებების წინ მათ დაანონსეს კონტრაქცია „ღირსების მარშის“ მონაწილეთა წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ 5 ივლისამდე კოალიციამ „მედიის ადვოკატირებისთვის“ დაინახა საფრთხე, რომ ჰომოფობიური ჯგუფების აგრესია მედიის წარმომადგენლებსაც შეეხებოდა. 2021 წლის 02 ივლისს კოალიციამ[17] მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოუწოდა:

- დაეცვა „ღირსების მარშის“ მონაწილეთა უსაფრთხოება;
- დაეცვა მედიის წარმომადგენლები ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ხელიშეშლისაგან;
- ჰქონოდა დროული და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება ძალადობრივ მოწოდებებსა და შუღლის გაღვივების ყველა მცდელობაზე.

წინასწარი განცხადება გაავრცელა ასევე სამოქალაქო პლატფორმამ – „არა ფობიას“.[18] არასამთავრობო ორგანიზაციები შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქალაქეთა დაცვის მიზნით სათანადო ზომების მიღებას სთხოვდნენ.

15. მედიის და სამოქალაქო საზოგადოების მანიფესტი. მოთხოვნებს ხელს 1000ზე მეტი ადამიანი აწერს ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2YbVO81
16. კვლევა „მედიაგარემო საქართველოში“ 2020 წელი. ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3mTAUos
17. განცხადება: კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს „ღირსების მარშის“ გაშუქებისას უზრუნველყოს მედიის წარმომადგენლების და მონაწილე პირთა უსაფრთხოება ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3DDJLRd
18. განცხადება: შსს-მ უნდა დაიცვას „ღირსების მარშის“ მონაწილეთა უსაფრთხოება ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3yBUk3H

ადამიანის უფლებების დარღვევის საფრთხე გამოიკვეთა სხვადასხვა საჯარო მოწოდებებში. „თბილისი პრაიდის“ წინააღმდეგ მზადების შესახებ არაერთი განცხადება გაკეთდა ჰომოფობიური, ქსენოფობიური, სექსისტური ულტრამემარჯვენე განწყობების მქონე პლატფორმა „ალტ-ინფოს“ ეთერიდანაც. ორგანიზაციის წარმომადგენლები/წამყვანები, რომლებიც 5-6 ივლისის ძალადობრივი აქციების ორგანიზატორები იყვნენ, მოგვიანებით, გამოკითხვაზე იმყოფებოდნენ[19], პოლიციამ ისინი მალევე გაათავისუფლა და საზოგადოებისთვის დღემდე არ არის ცნობილი გამოძიების შედეგები.

სამოქალაქო საზოგადოების წინასწარი მოწოდებების მიუხედავად, ხელისუფლებამ არ მიიღო უსაფრთხოების სათანადო ზომები და არ გამოიყენა საკმარისი საპოლიციო ძალა მოქალაქეთა დასაცავად.

უფრო მეტიც, 2021 წლის 5 ივლისს, აქციის დაწყებამდე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომამდე გააკეთა მოძალადეების წამახალისებელი განცხადება[20], რომელშიც აღნიშნა, რომ „ღირსების მარში“ სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს შეიცავს და მისი ჩატარება მიზანშეუწონლად მიიჩნია. პარალელურად გავრცელდა[21] შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწოდება, რომლითაც მან „თბილისი პრაიდის“ მონაწილეებს მიმართა, რუსთაველის გამზირზე მოწინააღმდეგე ჯგუფების მიერ დაგეგმილი აქციების მასშტაბურობიდან გამომდინარე, უარი ეთქვათ საჯარო სივრცეში მარშის გამართვაზე.

აღნიშნული განცხადებების შემდეგ, მოძალადე ჯგუფებმა თავდაპირველად რუსთაველის გამზირზე ხელისუფლების წინააღმდეგ გაშლილი კარვები დაშალეს. ამის შემდეგ კი, პარლამენტის წინ აღმართული ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს და ჯვარი აღმართეს.

იმავე დღეს მოძალადეების ორგანიზებულმა ჯგუფებმა დაარბიეს სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ და ლგბტქ+ უფლებადამცველი ორგანიზაციის „თბილისი პრაიდის“ ოფისები.

ძალადობის ფაქტები გადაიცემოდა პირდაპირი ეთერით. ნათელი იყო, რომ არასაკმარისი საპოლიციო ძალები ინერტულად მოქმედებდნენ და ვერ ახერხებდნენ წესრიგის აღდგენას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მედიის დასაცავად გამოყენებული ერთადერთი მექანიზმი მოვლენების ადგილიდან ჟურნალისტების გაყვანა იყო.

მედიაზე თავდასხმა 2021 წლის 6 ივლისსაც გაგრძელდა, ე.წ. „მდუმარე აქციის“ გადაღებისას, როცა სახელმწიფოს უმოქმედობის გასაპროტესტებლად შეკრებილმა აქტივისტებმა პარლამენტის წინ ლგბტ დროშა გაშალეს და ცაში ფერადი კვამ-

19. სტატია: „ჩვენს ძალადობრივ მოწოდებასთან თქვენი კოლეგის დაღუპვას კავშირი არ აქვს“ – „ალტ-ინფოს“ დამფუძნებელი გამოკითხვის შემდეგ ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3DKBta7
20. სტატია: პრემიერი – დღეს დაანონსებული მარშის ჩატარება მიმაჩნია მიზანშეუწონლად, ის შეიცავს სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3whwKYN
21. განცხადება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3dMkjh5

ლი გაუშვეს, მოძალადე ჯგუფები ცდილობდნენ პირდაპირი ჩართვის კაბელები გადაეჭრათ და ჩაეშალათ ტელეკომპანია „ფორმულას“ პირდაპირი ეთერი.

მედიის წარმომადგენლები 6 ივლისსაც დაშავდნენ, თუმცა ამ შემთხვევაში პოლიცია მოძალადეებს აქტიურად აკავებდა[22]. ისინი მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართულებით კვერცხებს, ქვებს, ქვით სავსე ბოთლებს, რკინის ნაჭრებს, შუშას და სხვა ნივთებს ისროდნენ. დაშავდა რამდენიმე პოლიციელიც.

1.2. მედიისთვის მიყენებული ზიანი

აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები[23] საქართველოს კონსტიტუციით დაცული სიკეთეა და დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა[24] კი – დანაშაულია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის თანახმად, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასოციდან ასორმოც საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ანდა შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე, ან უამისოდ.

5 და 6 ივლისის მოვლენების დროს მოძალადე ჯგუფების თავდასხმის ობიექტად იქცა ყველა მედია, რომელიც აქციას აშუქებდა. მოძალადეები ამტვრევდნენ გადამღებ კამერებს, ჯვრებით და კომბლებით სცემდნენ ოპერატორებსა და ფოტოგრაფებს, წიხლებს ურტყამდნენ და აფურთხებდნენ ჟურნალისტებს. თავდასხმები უმეტესად ჯგუფური იყო, თუმცა იყო ინდივიდუალური თავდასხმებიც. რუსთაველის გამზირზე ერთ-ერთი მოძალადე ჟურნალისტებს განზრახ ეჯახებოდა მოტოციკლით. მოძალადე პირმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ „მოძღვართან პური მიჰქონდა“[25] და საქე ვერ დაიმორჩილა.

5 და 6 ივლისის თავდასხმების[26] შედეგად 53 ჟურნალისტი, ოპერატორი და ფოტოგრაფი დაშავდა. მათ უმრავლესობას სამედიცინო დახმარების მიღება დაუყოვნებლივ დასჭირდა, ნაწილმა კი მუშაობა ადგილზე გააგრძელა. დაზიანებები იყო განსხვავებული სიმძიმის, თუმცა უმეტეს შემთხვევაში დაშავებულებს და-

22. სტატია: შსს: 6 ივლისს აქციაზე ადმინისტრაციული წესით 100 პირი დავაკავეთ, მათგან 32 რჩება დროებითი მოთავსების იზოლატორში. ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3kMPr2z
23. საქართველოს კონსტიტუცია ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3jER4Qz
24. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3gZUc86
25. სტატია: ჟურნალისტებზე ძალადობაში ბრალდებული: გამექცა მოტოციკლი, ვიგინებოდი და ვყვიროდი, მივხვდი რომ ვერ ვიჭერდი“ ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2Yhw4HA
26. სტატია: ჟურნალისტების სია, რომლებსაც ძალადობრივი ჯგუფები თავს დაესხნენ ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/38z67F6

ზიანებები თავის არეში აღენიშნებოდათ, რამაც ბევრი მათგანის შემთხვევაში გამოიწვია ტვინის შერყევა, ამნეზია და მხედველობის დაზიანება. სამუშაო პროცესში მედიის წარმომადგენლებმა დაკარგეს კუთვნილი ტექნიკა და დაუზიანდათ კამერები, შტატივები, მიკროფონები და ჩართვის აპარატურა. დანაკარგის სრულად აღწერა ვერ ხერხდება, თუმცა მთლიანობაში ქონებრივი ზიანი 10 მედიასაშუალებას მიადგა.

მოძალადე ჯგუფები თავს ესხმოდნენ თითქმის ყველა მედიასაშუალების წარმომადგენელს. თუმცა მუშაობაში ხელი არ შეშლია რუსულ და რუსულენოვან მედიას, მაგალითად Russia Today, რომელიც მოძალადე ჯგუფების აქციას პირდაპირ ეთერში რამდენიმე საათის განმავლობაში აშუქებდა[27]. აღმოჩნდა, რომ რუსულ ენაზე მომუშავე მედიების მიმართ თავდამსხმელები ზოგადად, ნაკლებ აგრესიას ავლენდნენ, ასე მაგალითად, საქართველოში ეთნიკური უმცირესობებისთვის რუსულ ენაზე მაუწყებელი TOK TV -ს ოპერატორს პირთა ჯგუფი აგრესიული შეძახილებით მაშინ მიუახლოვდა, როცა არხი პირდაპირ ეთერში მაუწყებლობდა. ჟურნალისტის რუსულენოვანი ჩართვის მოსმენისას, მოძალადეები TOK TV-ს ჯგუფს განერიდნენ[28] და მათთვის მუშაობაში ხელი აღარ შეუშლიათ. რუსულენოვან მედიებს შორის არავინ დაშავებულა.

5 ივლისს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ოპერატორი ილია თვალიაშვილი იყო ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც რუსთაველის გამზირზე ძალადობრივი ჯგუფის წარმომადგენლები ფიზიკურად გაუსწორდნენ[29]. იგი ქაშუეთის ეკლესიასთან ცდილობდა ჩამოშორებოდა მოძალადე ჯგუფებს და შორი კადრები გადაეღო, როდესაც თავდამსხმელებმა მისთვის კამერის წართმევა სცადეს, ის ძირს დააგდეს და სცემეს. ილია თვალიაშვილს დაზიანებები თვალებზე და თავის არეში მიაყენეს, მას ტვინის შერყევაც აღენიშნებოდა. „სადაც მივტრიალდი, ყველგან მუშტი დამხვდა. ჩემი კამერა ამას იღებდა და ყველას იდენტიფიცირება შეიძლება. იქ ორი, სამი და ხუთი ადამიანი არ ყოფილა, გაცილებით მეტნი იყვნენ. სანამ გავითიშებოდი, მახსოვს, რომ რამდენჯერმე თავში ჩამარტყეს ფეხი და ვფიქრობ, რომ მაგ დროს მივიღე დაზიანება“, – ამბობს დაშავებული ოპერატორი,[30] რომელმაც მხედველობა დროებით დაკარგა და ჯანმრთელობის აღსადგენად ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება.

აქციაზე მოძალადეების სამიზნედ იქცნენ „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი თორნიკე მანდარია და ოპერატორი დავით ქორიძე. თორნიკე მანდარია იხსენებს, რომ მოძალადეები მრგვალ ბაღთან დაესხნენ თავს[31]. ის მანქანიდან გადმოვიდა, რომ კოლეგას, დავით ქორიძეს, გამოსარჩლებოდა, რომელსაც კამერა ჰქონდა ჩართული. „ორივე ვყვიროდით და ვეძახდით პოლიციას, რომელიც 30, მაქსიმუმ,

27. პირდაპირი ეთერი რუსულ ენაზე. ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3mTU7GW
28. პირდაპირი ეთერი რუსულ ენაზე. ხელმისაწვდომიაhttps: //bit.ly/3gOYrTO
29. ვიდეო: დაშავებული ოპერატორი ილია თვალიაშვილი. ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3BChAAt
30. სტატია: საზოგადოებრივი მაუწყებლის ოპერატორზე თავდასხმის საქმეზე კიდევ ერთი პირი დააკავეს
ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3jCpALv
31. ვიდეო: თავდასხმა“ რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტებზე ხელმისაწვდომია:
https: //bit.ly/2Yta3Wt

50 მეტრში იდგა და ცალსახად შეეძლო, რომ გაეგონა ჩვენი ყვირილი. ათამდე პოლიციელი იდგა. როგორც ჩანს, ისინი არ სცილდებოდნენ იმ შენობას [სადაც იდგნენ], თუ რა ხდებოდა, ვერ მივხვდი. დათოზე როცა გადაერთო ეს, დაახლოებით 20 ადამიანი, და ვხედავდი, რომ კიდევ მოდიოდნენ ჩვენკენ, გავიქეცი პოლიციისკენ ყვირილით: ხომ აქ ხართ პოლიცია, დაგვეხმარეთ-მეთქი. არცერთი მათგანი არ გაინძრა. მერე ერთ-ერთმა შემიყვანა იქვე, ეზოში წყალზე. სხვა არაფერი გაუკეთებიათ," – ამბობს თორნიკე [32]

„პალიტრანიუსის" ოპერატორს რომა ტარუღიშვილს მოძალადეები პარლამენტთან ახლოს ჯგუფურად დაესხნენ თავს.[33] „რუსთაველზე კარვები რომ დაშალეს, მას მერე ვიღებდი და რაღაც მომენტში ჩემს კამერას ჯოხი ჩაარტყეს. შევეცადე იქაურობას გავრიდებოდი და ამ დროს მუშტი მომხვდა. მერე რამდენიმე ადამიანი მირტყამდა. კამერაც დაამტვრიეს," – ამბობს რომა,[34] რომელსაც სახის არეში მიყენებული დაზიანებების გამო გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ჰომოფობიური და ძალადობრივი აქციის მონაწილეების თავდასხმის ობიექტი „ინტერპრესნიუსის" ფოტორეპორტიორი, გიორგი ნიკოლიშვილიც გახდა. ფოტორეპორტიორს რამდენიმე პირი დაესხა[35] თავს, რის შედეგადაც მან გონება დაკარგა. გიორგის დასჭირდა ხანგრძლივი სამედიცინო დახმარება თავში მიყენებული დარტყმებით გამოწვეული სისხლჩაქცევების გამო.

რუსთაველის გამზირზე „ფორმულას" ფოტოგრაფი ვახო ქარელიც დაშავდა. ვახო იხსენებს, რომ ყველაზე თვალშისაცემი რუსთაველის გამზირზე პოლიციელების ძალიან მცირე რაოდენობა იყო. მას აქციების გადაღების ათწლიანი გამოცდილება აქვს და მსგავსი რამ არ ახსენდება. ვახო მომხდარს დეტალებში ვერ იხსენებს, თუმცა ამბობს,[36] რომ ძალადობის პროცესის გადაღებისას დაესხნენ თავს, „რამდენიმე ადამიანი მირტყამდა. სახეზე ხელები ავიფარე, რომ სახე და თავი დამეცვა. მეფარა ჩაფხუტი, მაგრამ რა დროს მომძვრა, ეგეც არ ვიცი. სავარაუდოდ, ამან გამოიწვია ის, რომ ტვინის შერყევა მივიღე. მაინც მგონია, რომ იმ ყველაფერთან შედარებით, რაც იქ ხდებოდა, კიდევ კარგად გადავრჩი. ახლა საავადმყოფოში მეთვალყურეობის ქვეშ ვარ." ვახო ქარელი ტვინის შერყევის და ამნეზიის დიაგნოზით მკურნალობდა.

მოძალადეები განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ ტელეკომპანია „ფორმულას" ჟურნალისტ რატი წვერავას. იგი ძალადობრივმა ჯგუფებმა პარლამენტის წინ მას შემდეგ სცემეს[37], რაც ჟურნალისტმა მიტროპოლიტ იოანე გამრეკელის-

32. სტატია: ნადირობა ოპერატორებზე და ჟურნალისტებზე-14 ისტორია ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3mTTooQ
33. სტატია: რას ჰყვება „პალიტრანიუსის" ოპერატორი, რომელსაც „ღირსების მარშის" მოწინააღმდეგეები ფიზიკურად გაუსწორდნენ ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3By8xQV
34. სტატია: რას ჰყვებაან დაშავებული ჟურნალისტები ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/38xAcFc
35. სტატია: ინტერპრესნიუსის" ფოტოკორესპონდენტ გიორგი ნიკოლიშვილს, რომელსაც „პრაიდის" მოწინააღმდეგეები ფიზიკურად გაუსწორდნენ, დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/38xMgWU
36. სტატია: რას ჰყვებაან დაშავებული ჟურნალისტები ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/38xAcFc
37. ვიდეო: "ინციდენტი ქაშუეთის ეკლესიასთან" ხელმისაწვდომია https: //bit.ly/3gSMGMg

თვის შეკითხვის დასმა სცადა. როგორც თავად რატი ყვება და ეს გავრცელებული კადრებიდანაც ჩანს, მას აგრესიული ბრბო დაესხა თავს და დაახლოებით 200 მეტრი ირბინა, რომ მოძალადეებისგან თავი დაეღწია[38], თუმცა ათობით პირი გაუჩერებლად ურტყამდა. ძირითადი ტრავმები ჟურნალისტს თავის არეში ჰქონდა მიყენებული, აღენიშნებოდა სხეულის სხვა დაზიანებებიც.

5 ივლისს ტელეკომპანია „პირველის" ჟურნალისტი მირანდა ბაღათურია ძალადობრივი ჯგუფების სამიზნედ მაშინ იქცა, როცა ოპერატორ ლექსო ლაშქარავასთან ერთად მოძრაობა „სირცხვილიას" ოფისში მათ შეჭრას აშუქებდა. მირანდა იხსენებს, რომ მისი გაჩუმება სურდათ. სასულიერო პირმა თმებში მოქაჩა, დანარჩენი მოძალადეები კი ჩქმეტდნენ და წიხლებს ურტყამდნენ. პარალელურად მოძალადეების ნაწილი სცემდა მის ოპერატორს, ლექსო ლაშქარავას.[39] მათთან ერთად იმყოფებოდა საპატრულო პოლიციის მხოლოდ ერთი თანამშრომელი, მაშინ როდესაც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა მოძალადეების მუქარა, მათი განცხადებები[40] გადაადგილების მარშრუტის შესახებ და შესაძლო მიზანიც, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან დამატებით, მყისიერ რეაგირებას საჭიროებდა.

ლექსო ლაშქარავას საქმე

11 ივლისს „TV პირველის" ოპერატორი ალექსანდრე ლაშქარავა საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. ანგარიშის გამოქვეყნების დროისათვის, ოპერატორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოძიება დასრულებული არ არის და სიკვდილის უშუალო მიზეზი უცნობია, თუმცა გარდაცვალებას წინ უძღოდა 5 ივლისს მასზე თავდასხმა და სხეულის დაზიანება, – ლაშქარავას აღენიშნებოდა ტვინის შერყევა, სახის ძვლების მოტეხილობა და მრავლობითი დაჟეჟილობა. მას ქირურგიული ოპერაციაც ჩაუტარდა, ბოლო დღეებში კი მკურნალობას სახლში აგრძელებდა.

ოჯახის წინააღმდეგობის მიუხედავად, შსს-მ ლაშქარავას ცხედარი ექსპერტიზაზე მაინც გადაასვენა[41]. შინაგან საქმეთა სამინისტროში იმავე დღეს ალექსანდრე ლაშქარავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ბრიფინგი გაიმართა, სადაც შსს-მ ერთ-ერთ ვერსიად ნარკოტიკებით ზედოზირებაც განიხილა.[42] შსს – მ მეორე ბრიფინგზე,[43] 13 ივლისს თქვა, რომ „ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად,

38. ვიდეო: გადაცემა „ჩატი" რატი წვერავა – 5 ივლისს ჰომოფობიური ძალადობრივი ჯგუფის მიერ დაზარალებული ჟურნალისტი» ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3DGfsJB
39. სტატია: «5 ივლისის ძალადობრივ აქციაზე ნაცემი ოპერატორი გარდაცვლილი იპოვეს» ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3mSkahv
40. ვიდეო: «5 ივლისის» ორგანიზება» ვიდეო ხელმისაწვდომია https: //bit.ly/38uJFNs
41. სტატია: «სიძულვილის ჯგუფის მიერ უსასტიკესად ნაცემი ლექსო ლაშქარავა გარდაიცვალა» ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/38DPCY l
42. სტატია: განიხილება ზედოზირების ვერსიაც-შსს ლაშქარავას გარდაცვალებაზე ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3jArrQX
43. სტატია: შუალედური დასკვნით, დაღუპვის მიზეზი შესაძლოა ზედოზირება იყოს – შსს ლაშქარავაზე ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3gTo85T

გვამიდან აღებულ ნიმუშებში აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალებები – მორფინი, კოდეინი, ტეტრაჰიდროკარაბინოლი, გაბაპენტინი და მონოაცეტინმორფინი. ექსპერტიზის მიხედვით, გარდაცვალების მიზეზი, შესაძლოა, გამხდარიყო აღნიშნული საშუალებებით ზედოზირება. აქვე აღვნიშნავთ, რომ აღნიშნული დასკვნა არის შუალედური."

შინაგან საქმეთა სამინისტროში ასევე ისაუბრეს[44] გარდაცვალებამდე ლექსო ლაშქარავას გადაადგილების მარშრუტზე[45]. ითქვა, რომ მან ნარკოტიკული ნივთიერებები ფონიჭალაში იყიდა – ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენას მოწმეთა ჩვენებებით ადასტურებს შსს. უწყების მტკიცებით, ლაშქარავამ და მისმა თანმხლებმა მეგობარმა შეძენილი ნარკოტიკი ორთაჭალაში, ტყის მასივში მოიხმარეს, სადაც ლაშქარავა შეუძლოდ გახდა, თუმცა მოგვიანებით შინ დაბრუნდა. სამინისტრომ ასევე გაავრცელა სათვალთვალო კამერების მიერ სხვადასხვა ლოკაციაზე გადაღებული კადრები. „TV პირველის" გარდაცვლილი ოპერატორი, ლექსო ლაშქარავა 13 ივლისს დაკრძალეს.[46] მისთვის პატივის მისაგებად სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა. 17 ივლისს კი ტელეკომპანია „ფორმულას" საგამოძიებო რეპორტაჟში „შავი ლაქები ლექსო ლაშქარავას საქმეში"[47] გავრცელდა ინფორმაცია ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების საქმეში მნიშვნელოვანი ფაქტების გაყალბების შესახებ.

ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით დანიშნულია სახელმწიფო ექსპერტიზა, „TV პირველის" მიწვევით ალტერნატიულ დასკვნას ამზადებს დამოუკიდებელი ექსპერტი.[48] ლექსო ლაშქარავაზე ძალადობის ბრალდებით ამ დროისათვის 6 პირია დაკავებული.[49]გარდაცვლილი ლექსო ლაშქარავასა და მისი ოჯახის წევრების ინტერესს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იცავს.

ლექსო ლაშქარავას ცემისა და გარდაცვალების ფაქტზე დაიწყო კოორდინირებული დისკრედიტაცია სოციალურ ქსელში, რაც მედიაზე ძალადობის კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა.

1.3. ონლაინ ძალადობა მედიაზე და დისკრედიტაციის კამპანია

5 და 6 ივლისს ჟურნალისტთა მიმართ ფიზიკურ ძალადობას თან ახლდა ექსტრემისტული ჯგუფების მხრიდან მედიის წინააღმდეგ მუქარის შემცველი განცხადებები. თუმცა, მედიის წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანია, რომელიც ამ ინსტიტუ-

44. სტატია: შსს ლექსო ლაშქარავაზე: შესაძლოა გარდაიცვალა ზედოზირებით, სისხლში აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერებები ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/38xJtxa
45. სტატია: დღეს ლექსო ლაშქარავას დაკრძალავენ – რა არ უნდა გამოგრჩეს 13 ივლისს ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2WIWlhg
46. სტატია: დაკრძალეს ლექსო ლაშქარავა ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3takZDG
47. საგამოძიებო რეპორტაჟი „შავი ლაქები ლექსო ლაშქარავას საქმეში" ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2YmkM4P
48. სტატია: დამოუკიდებელი ექსპერტი – ჯერ ლექსო ლაშქარავას გვამის გამოკვლევა დაწყებული არ არის, თუ გამოძიება არ დაუშვებს ოფიციალურ წერილს ჩემი ჩართულობის თაობაზე, ჩემი ჩართულობის გარეშე მოხდება ექსპერტიზა ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2V7zVFN
49. სტატია: ლექსო ლაშქარავაზე ძალადობაში ბრალდებულ გია გიგუაშვილს პატიმრობა შეეფარდა ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3zDLpzL

ტის მიმართ უნდობლობის დათესვას ისახავს მიზნად, ხელისუფლების და მასთან დაკავშირებული აქტორების მხრიდან გაცილებით ადრე დაიწყო და ინდივიდუალური ჟურნალისტების მიმართ ივლისის მოვლენების დროსაც გამოვლინდა.

ძალადობრივი ჯგუფები: ლევან ვასაძის პარტიასთან „ერთობა, რაობა, იმედი" დაკავშირებული ტელეკომპანია „ალტ-ინფოს" წამყვანები, რომლებიც 5 ივლისს გამართული ძალადობრივი კონტრაქციის ორგანიზატორებს შორისაც იყვნენ, ღიად და დაუფარავად აცხადებდნენ,[50] რომ აგრესია პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის სტანდარტად უნდა ექციათ. განცხადებები[51] იმის შესახებ, რომ საკუთარი ღირებულებები უნდა დაეცვათ ძალის გამოყენებით[52], ასევე აგრესიის და ფსიქოლოგიური ბულინგის გზით[53] , „ალტ-ინფოს" წამყვანების მხრიდან 5 ივლისამდეც კეთდებოდა და ძალადობრივი აქციის შემდეგაც, როცა არხის წამყვანები ძალადობას ჟურნალისტების და არასამთავრობოების მოთვინიერების შესაძლებლობად განიხილავდნენ[54].

"ალტ-ინფოს" წამყვანები, რომლებიც საზოგადოებას დასავლური სიმბოლოების დაწვის ვანდალური ქმედებებისკენ მოუწოდებდნენ[55], ევროინტეგრაციის თავდაყირა დაყენების და „დასავლელი კოლონიზატორების" წინააღმდეგ პროტესტის პოლიტიკურ მოძრაობად კონვერტირების შესახებ აკეთებდნენ განცხადებებს[56]. პოლიტიკურ მოძრაობად ტრანსფორმირების წინაპირობად კი საკუთარი სრულფასოვანი მაუწყებლობის[57] ქონას ასახელებდნენ და საინფორმაციო სივრცის იმ მედიებისგან გაწმენდის[58] აუცილებლობაზე საუბრობდნენ, რომელთა სარედაქციო პოლიტიკას ხელისუფლება ვერ აკონტროლებს ("ფორმულა", „მთავარი" და „ტვ პირველი"[59]).

"ალტ-ინფოს" ინდივიდუალური სამიზნე ასევე იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი ირაკლი აბსანძე, რომელმაც საჯაროდ გააკრიტიკა TV პირვე-

50. სტატია: კრემლის ძალადობრივი ჯგუფების სტრატეგია: დასავლეთის სიმბოლოების დაწვა ნორმად უნდა იქცეს! ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3mQkXj2
51. ვიდეო ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3BBmy0k
52. ზურა მახარაძე, ალტ-ინფოს წამყვანი: „ისინი ჩვენ მოძალადეებს გვეძახიან, დიახ, მე ვარ მოძალადე! მე შემიძლია და ვაპირებ საკუთარი ღირებულებების, მათ შორის ძალით დაცვას"
53. შოთა მარტინენკო: „კი, ჩვენ უნდა დავამკვიდროთ სტანდარტი, რომ ყველა ლიბერასტის და ყველა შუაშისტის მიმართ, ყოფით რეალობაში, აგრესია, აგრესიული შეფასებები, აგრესიული დაგმობა, ფსიქოლოგიური ბულინგი თუ გნებავთ ასე დაარქვით, დადებითი მოვლენა უნდა იყოს."
54. შოთა მარტინენკო: „როცა მრისხანებას და ძალის დემონსტრაციას ხალხი აჩვენებს, მანდ რეალობა იცვლება: ჟურნალისტები ზრდილობიანები ხდებიან, თვითონ ეს ენჯეო-ლგბტ აქტივისტები მფრთხალები,
55. სტატია: ვასაძის „ალტ-ინფოს" და „ერის" მხარდამჭერების ვანდალური მოწოდებები ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3DIp1Ia
56. კრემლის ძალადობრივი ჯგუფების სტრატეგია: დასავლეთის სიმბოლოების დაწვა ნორმად უნდა იქცეს ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3zIqxYm
57. ვიდეო: « ალტ-ინფო 12.07.2021_21 MDF-ის მედია მონიტორინგი» ვიდეო ხელმისაწვდომია https: //bit.ly/3mUIyiI
58. შოთა მარტინენკო: „ჩვენ რომ ძალაუფლებაში მოვალთ, პროსტა შანსი არა გაქვთ რა, მთლიანად თქვენს მედია სისტემას სრულიად ჩავხსნით მაუწყებლობიდან, სრულიად გავაუქმებთ".
59. გიორგი ქარდავა: „იცოდეთ, დღეიდან ყველა ჟურნალისტი, რომელიც მუშაობს ნაციონალური მოძრაობის და მათი ანასხლეტების, პარტიების ასე ვთქვათ, ჯიბის რუპორებზე მაქვს საუბარი, „ფორმულა, ტვ პირველი, მთავარი არხი" და ძმანი მათნი, ესენი ყველანი არიან საქართველოს მტრები! ჩვენი სახელმწიფოს მტრები!"

ლის ოპერატორ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრიფინგი ექსპერტიზის დასრულებამდე ნარკოტიკებზე მინიშნების გამო და მმართველი პარტიის ოფისთან საპროტესტო აქციაში მონაწილეობდა, რა დროსაც იგი დააკავეს. „ალტ-ინფოს“ წამყვანები მის მიმართ ჰომოფობიურ[60] შეფასებებს იყენებდნენ და საზოგადოებრივი მაუწყებლიდან მის გათავისუფლებას[61] მოითხოვდნენ. აბსანძე, რომელიც არა მხოლოდ ძალადობრივი და ანტიდასავლური ჯგუფების, არამედ სახელისუფლებო მედიების და ფეისბუქანგარიშების დისკრედიტაციული კამპანიის სამიზნე გახდა, 9 აგვისტოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ხელშეკრულებით და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევის საბაბით სამსახურიდან გაათავისუფლა. ეს ფაქტი მკაცრად გააკრიტიკა კოალიციამ[62] „მედიის ადვოკატირებისათვის".

დისკრედიტაციის კამპანია „TV პირველის“ გარდაცვლილი ოპერატორის წინააღმდეგ. ფაქტების გადამოწმების პორტალმა – „მითების დეტექტორმა"[63] ის სახელისუფლებო და ანტილიბერალური მედიები და ფეისბუქანგარიშები გამოავლინა, რომლებიც TV პირველის გარდაცვლილი ოპერატორის ლექსო ლაშქარავას დისკრედიტაციის კამპანიაში ჩაერთვნენ. შსს-ს პირველ ბრიფინგამდე რამდენიმე საათით ადრე ლექსო ლაშქარავს გარდაცვალება ნარკოტიკულ საშუალებებს როგორც სახელისუფლებო მედიამ ("მარშალპრესი"), ასევე იმ ფეისბუქანგარიშებმა დაუკავშირეს, რომლებიც საინფორმაციო პლატფორმებად პოზიციონირებენ, მათგან ერთ-ერთი კი უშუალოდ 11 ივლისს, ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების დღეს იყო შექმნილი, (საინფორმაციო სააგენტო, საინფორმაციო ბლოგი – Informative Blog).

სოციალურ ქსელში ლექსო ლაშქარავას წარსული ნასამართლობის შესახებ პერსონალურმა მონაცემებმაც გაჟონა, რაც სახელმწიფო ინსპექტორის აპარატმა[64]კანონდარღვევად შეაფასა და შესაბამისი მოკვლევაც დაიწყო.

გარდაცვლილი ოპერატორის დისკრედიტაციის კამპანია მოგვიანებითაც გაგრძელდა, როდესაც სახელისუფლებო მედიებმა და ფეისბუქანგარიშებმა გაავრცელეს ყალბი ინფორმაცია,[65]თითქოს ტელეკომპანია „ფორმულამ“ გარდაცვლილი ოპერატორის ფოტო სისხლიანი სახის ჩვენების მიზნით ფოტოშოპში დაამუშავა. ფეისბუქანგარიში „საინფორმაციო ბლოგი“, რომელმაც პირველმა გაავრცელა აღნიშნული ინფორმაცია, დაკავშირებული იყო სხვა არაავთენტურ ანგარიშებთან , რის გამოც ფეისბუქის ადმინისტრაციამ გვერდი წაშალა.

60. ვიდეო ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3kO9kq5
61. ვიდეო ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3kTE4Ga
62. განცხადება: კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3mQkXj2
63. სტატია: „საინფორმაციო სააგენტოს“ სახელით და ძალადობრივი ჯგუფების მუშტით TV პირველის გარდაცვლილი ოპერატორის წინააღმდეგ ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3jzpLXW
64. განცხადება: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3gUtspl
65. სტატია: «“საინფორმაციო ბლოგი“ ლექსო ლაშქარავას ფოტოზე ყალბ ინფორმაციას ავრცელებს» ხელმისაწვდომია https: //bit.ly/3DNzpyv

დისკრედიტაციის კამპანია ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი მედიების მიმართ. მედიის წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანია, რაც მის მიმართ უნდობლობის დანერგვას უწყობს ხელს, წლებია რაც ფორმალური თუ არაფორმალური ინსტიტუტების მეშვეობით ხორციელდება. კომუნიკაციის მარერგულირებელ კომისიასთან არსებული პლატფორმის „მედიაკრიტიკის"[66] სამიზნე წლებია ის მედიები[67] არიან, რომელთაც ხელისუფლების მიმართ კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკა აქვთ. ჟურნალისტების წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანიაში ასევე ჩართული არიან ხელისუფლებასთან დაკავშირებული ყალბი ანგარიშები, რომელთა ნაწილი ფეისბუქმა წარსულში წაშალა[68].

"მითების დეტექტორმა" უშუალოდ მედიის წინააღმდეგ მოქმედი ახალი ფეისბუქანგარიშები (ქართული ჟურნალისტიკის მარგალიტები / journalist fails, ჟუურნალისტები@juurnalistebi, შურნალისტები, ჟურნალისტი@Epic.Journalists, სინდისისგან თავისუფალი მედია, ნოდარ მეზღაპრე) 2020-2021 წლებშიც გამოავლინა. მათი ნაწილი შექმნილია „TV პირველზე" იმ ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ, რომელშიც სავარაუდოდ ქართული ოცნების დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის ვაჟი ბერა ივანიშვილი და ამჟამინდელი პრემიერი, ირაკლი ღარიბაშვილი მონაწილეობდნენ. აღნიშნული გვერდები, რომელთაგან ერთი ფეისბუქმა წაშალა, ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის, ნოდარ მელაძის დისკრედიტაციას ეწეოდნენ (ჟურნალისტი, ნოდარ მეზღაპრე).[69]

66. სტატია: „ვინ „ღირს" მედია კრიტიკად? ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3gVwM3D
67. სტატია: ბრძოლა „შიდა მტერთან" და კოჰაბიტაცია რუსულ პროპაგანდასთან ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3kNGFSg
68. სტატია: კოკა ყანდიაშვილი Facebook-ით სარგებლობის უფლების გარეშე: ამით მორჩა? ხემნისაწვდომია: https: //bit.ly/3jGjrhp
69. სტატია: ახლადშექმნილი ფეისბუკ გვერდები და ძველი ტროლები ბერას დასაცავად და ჟურნალისტების წინააღმდეგ ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3BGGgaL

თავი 2

ვინ და როგორ იცავს 5 და 6 ივლისს დაზარალებული ჟურნალისტების და ოპერატორების ინტერესებს

ფოტო: გაზეთი „ბათუმელები“
Photo: Batumelebi

2.1. პოლიციის მიერ ჩატარებული ღონისძიებები და სამართალწარმოება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2021 წლის 5 ივლისს პირველი განცხადება[70] მედიაზე ძალადობის ფაქტების დაფიქსირებისთანავე გააკეთა: „რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციაზე შეკრებილი ცალკეული პირების მხრიდან მედიასაშუალებების წარმომადგენელთა მიმართ განხორციელდა ძალადობრივი ქმედებები და პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტები. რუსთაველზე პოლიციის თანამშრომელთა რეაგირების შედეგად მედიასაშუალებების წარმომადგენლები ამ ეტაპზე უსაფრთხო ადგილზე არიან განთავსებული."

სამინისტრომ მიუთითა, რომ მომხდარ ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) და 126-ე (ძალადობა) მუხლებით დაიწყო.

მოგვიანებით სამინისტრომ ასევე განმარტა[71], რომ **გმობს სიძულვილით მოტივირებულ ქმედებებს, მათ შორის მედიასაშუალებების წარმომადგენლების მიმართ გამოხატულ ძალადობის ნებისმიერ ფორმას. ამასთან, მოუწოდა დედაქალაქის ქუჩებში შეკრებილ მოქალაქეებს დაეცვათ წესრიგი, დამორჩილებოდნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნებს და ნებისმიერ თემაზე პროტესტი გამოეხატათ კანონის ფარგლებში.**

მალევე მოძრაობა „სირცხვილიას" და „თბილისი პრაიდის" ოფისზე განხორციელებულ კანონსაწინააღმდეგო ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს. სამინისტრომ ასევე გამოიყენა ძალადობის მუქარით დევნა (სსკ-ს 156-ე მუხლის მე -2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი) და ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა (სსკ-ს 225-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

დაზარალებულ ჟურნალისტებს და ოპერატორებს პოლიცია, ძირითადად, თავად უკავშირდებოდა და იბარებდა გამოკითხვაზე. ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების საფუძველზე, უმრავლესობა დაზარალებულად ცნო. თუმცა, საგამოძიებო ორგანოს ამ დრომდე არ ჰყავს იდენტიფიცირებული ძალადობრივ ქმედებებში ჩართული ყველა პირი, ასევე, არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა ორგანიზატორების მიმართ.

7 ივლისს ბრიფინგზე[72] შსს-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამინისტრომ გააფრთხილა მსვლელობის მონაწილენი, რომ „ღონისძიების ჩატარება იქნებოდა დიდი რისკის შემცველი თავად მსვლელობის მონაწილეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით". მიუხედავად გაცნობიერებული რისკისა, რუსთაველის გამზირზე არ იყო საკმარისი საპოლიციო ძალები მოქალაქეთა დასაცა-

70. განცხადება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3BxNkGN
71. იქვე.
72. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია "თბილისი პრაიდის" კვირეულის პარალელურად პოლიციის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3jAjUBR

ვად. სამინისტროს ცნობით, „რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის დროს ღირსების მარშის მოწინააღმდეგე აქციის წევრები მოულოდნელად გახდნენ აგრესიულები და დაიწყეს ძალადობრივი ქმედებები". სამინისტროს ადრეული განცხადებები და ღია წყაროებით გავრცელებული ინფორმაციაც სწორედ იმაზე მიუთითებდა, რომ ძალადობრივი ქმედებები სრულიად მოსალოდნელი იყო. ამაზე მიუთითებს ულტრამემარჯვენე ჯგუფების მედიაპლატფორმის, ,,ალტინფოს'' ეთერით თანმიმდევრულად გავრცელებული ინფორმაცია ძალადობრივი მობილიზაციის შესახებ როგორც პრაიდის, ასევე ჟურნალისტების წინააღმდეგ. ონლაინ გამოცემა პუბლიკამ[73] შეისწავლა ,,ალტინფოს'' ერთი თვის ეთერი და ოცწუთიან დოკუმენტურ მასალაში[74] აჩვენა როგორ მზადდებოდა 5 ივლისის თავდასხმა.

ანგარიშის გამოცემის დროისათვის არ არის შესაძლებელი სრულყოფილად შეფასდეს გამოძიების მიმდინარეობის ეფექტიანობა, რადგან არ დასრულებულა სისხლის სამართლის საქმის მასალების სრული ანალიზი. ამასთანავე, არასრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თბილისის საქალაქო სასამართლოსაგან კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის" მოწოდებული ინფორმაცია. დაზარალებულთა ინტერესების დამცველმა ორგანიზაციებმა უკვე მიმართეს შსს-ს გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებებისა და საქმის მასალების გაცნობის თხოვნით. თუმცა, ამ დრომდე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ანალიზით ნათელია, რომ გამოძიება არ არის ეფექტური დანაშაულებრივ ქმედებებში ჩართული ყველა პირის, მათ შორის, ორგანიზატორების იდენტიფიცირების და მათთვის ბრალის წარდგენის ნაწილში.

ასევე არ დაწყებულა გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირების და რიგითი პოლიციელების ქმედებების შესაფასებლად. ბუნდოვანია, რამდენად ეფექტიანად იყო დაგეგმილი და აღსრულებული საპოლიციო ძალების მობილიზება და მოქმედებები მოვლენების ძალადობრივი განვითარების თავიდან ასარიდებლად.

გავრცელებული კადრებიდან ნათელია, რომ თავდასხმები ძირითადად ჯგუფურად ხდებოდა. ამ ეტაპზე უცნობია რამდენი პირის იდენტიფიცირება/დაკავება შეძლო შსს-მ თითოეულ საქმესთან მიმართებაში, თუმცა თავად სამინისტროს მიერ 30 ივლისს გამოქვეყნებული[75] განცხადებით ირკვევა, რომ 5 ივლისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სულ დაკავებულია 31 პირი, აქედან 27 პირი – ჟურნალისტებზე ძალადობისათვის.[76]

73. მოგვიანებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ონლაინგამოცემა „პუბლიკიდან" 5 ივლისის მოვლენების შესახებ მომზადებული 2 ვიდეო თბილისის საქალაქო სასამართლოს27 აგვისტოს განჩინების საფუძველზე გაითხოვა. ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/38C1yKe
74. დოკუმენტური ფილმი: : «How 5th of July was organized and executed | „5 ივლისის" ორგანიზება» ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2WHcu6S
75. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის" საწინააღმდეგო აქციის დროს მოძალადე კიდევ 2 პირი დააკავა ხელმისაწვდომია https: //bit.ly/2WE4AuS
76. სტატია: შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის" საწინააღმდეგო აქციის დროს მოძალადე კიდევ 2 პირი დააკავა https: //bit.ly/3n0IZIi

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საკუთარი ვებგვერდის მეშვეობით აქტიურად აქვეყნებდა ხოლმე ინფორმაციას, თუმცა დამატებით შეკითხვებზე პასუხი არ გასცა და მინიშნება 07 ივლისის განცხადებაზე[77] გააკეთა.

5 და 6 ივლისს რუსთაველის გამზირზე მედიასაშუალებების წარმომადგენლების მიმართ ფიზიკური ძალადობისა და ძალადობის მუქარით პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტებთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის წარმოების პროცესის შესახებ ინფორმაციის მიღება მხოლოდ მედიის მეშვეობით იყო შესაძლებელი. მიუხედავად მაღალი საჯარო ინტერესისა, სასამართლოს არ გაუვრცელებია არც ერთი საჯარო განცხადება მიმდინარე საქმეების ოდენობის, მათი მიმდინარეობის და გრაფიკის შესახებ. ინფორმაციის გამოთხოვნასთან დაკავშირებულ კითხვებზე კი უპასუხა, რომ სტატისტიკური აღრიცხვა არ წარმოებულა, სასამართლოს კი არ გააჩნია რესურსი ინფორმაციის დამუშავებისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პასუხი

2021 წლის 20 აგვისტოს მომართვის პასუხად, გაცნობებთ, რომ მოთხოვნილი სახით (დავის საგნით) ინფორმაციის/სასამართლო გადაწყვეტილებების სტატისტიკური აღრიცხვა, დამუშავება თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება. აღნიშნული ინფორმაციის მოცულობის გამო, მოთხოვნილი სახით მათი მოძიება (დამუშავება) მოითხოვს საკმაოდ დიდ დროსა და სასამართლოს რესურსს, რის გამოც მოკლებული ვართ თქვენი თხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეგიძლიათ, გაასაჩივროთ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივან №64).

2021 წლის 06 სექტემბერს სახალხო დამცველმა ზურაბ მახარაძისა[78] და სპირიდონ ცქიფურიშვილის[79] მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით პროკურატურას მიმართა.[80]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საჯაროდ ხელმისაწვდომი მტკიცებულებები აღწევს დასაბუთებული ვარაუდის, ანუ ბრალის წარდგენის სტანდარტს, რათა ორი პირის მიმართ დაწყებულ იქნას სისხლისსამართლებრივი დევნა ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ასევე, ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტებზე.

77. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია "თბილისი პრაიდის" კვირეულის პარალელურად პოლიციის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.ხელმისაწვდომია https: //bit.ly/2WJrPUa
78. წინადადება: 2021 წლის 5 ივლისს ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ფაქტზე მოქალაქე ზურაბ მახარაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე https: //bit.ly/3l3fhzA
79. წინადადება 2021 წლის 5 ივლისს ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტზე მოქალაქე სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე https: //bit.ly/3hbUMj0
80. განცხადება: სახალხო დამცველი 5 ივლისს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ძალადობისკენ მოწოდების ფაქტებზე 2 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას მოითხოვს ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3BONM3K

სახალხო დამცველის განცხადების პასუხად, შს მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ განაცხადა,[81] რომ „არ არის საქმეში საკმარისი მტკიცებულებები, რომ სახალხო დამცველის მიერ დასახელებული პირების მიმართ ბრალის წაყენება მოხდეს."

2.3. სამოქალაქო სექტორის სამართლებრივი მხარდაჭერა

კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის" პარტნიორმა ორგანიზაციებმა მყისიერად გამოხატეს მზაობა სამართლებრივი დახმარება გაეწიათ[82] 2021 წლის 5 და 6 ივლისს დაზარალებულ მედიის წარმომადგენლებისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით. დაზარალებულებისათვის სამართლებრივი დახმარების მიღება შესაძლებელი იყო ცხელი ხაზზე. მედიაზე ძალადობა დაგმო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ[83] და დაზარალებულ მედიას უფასო იურიდიული დახმარება შესთავაზა.[84]

კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის" პარტნიორები და ადამიანის უფლებებზე მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, (საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო / TI , საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / GYLA, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა" / GDI , „უფლებები საქართველო", „ ადამიანის უფლებათა ცენტრი" / HRC , „სოციალური სამართლიანობის ცენტრი" / SJC), ჯამში 5 და 6 ივლისს დაზარალებულ 29 ჟურნალისტსა და ოპერატორს უწევენ სამართლებრივ წარმომადგენლობას საგამოძიებო უწყებებში, აქედან დაზარალებულის სტატუსი 28 პირს უკვე მიენიჭა.

მათი უფლებების დაცვის მიზნით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" 29 პირს დაეხმარა, ასევე ზიანის ანაზღაურების საქმეებზე მუშაობს სამ მედიასაშუალებასთან.

სამართლებრივი დახმარების გარდა, სამოქალაქო სექტორმა ადვოკატირების სხვა მექანიზმებიც გამოიყენა:

- 2021 წლის 19 ივლისს ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის მიმდინარეობისას კოალიციის „მედიის ადვოკატირებისათვის" ინიციატივით გაიმართა სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ერთობლივი აქცია. აქციის მონაწილეებმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტს, ბატონ შარლ მიშელს მიმართეს.

81. სტატია: შს მინისტრის მოადგილე – არ არის საქმეში საკმარისი მტკიცებულებები, რომ სახალხო დამცველის მიერ დასახელებულ პირებს ბრალდება წაუყენონ https: //bit.ly/3tmNZIr
82. განცხადება: «ცხელი ხაზი მედიის წარმომადგენლებისათვის» კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის", ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3jxeuHI
83. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია https: //www.gba.ge/ka
84. განცხადება: ადვოკატთა ასოციაცია მედიის წარმომადგენლებზე განხორციელებული ძალადობის ფაქტებს ეხმაურება, ხელმისაწვდომი: ა https: //bit.ly/2V5Tcr9

"დღეს, ისე როგორც არასდროს, მოველით, რომ საქართველოს საერთაშორისო პარტნიორები ერთად დადგებიან ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის ძირითადი თავისუფლებების დასაცავად. გთხოვთ, გააგრძელოთ საქართველოს ხელისუფლებასთან აქტიური კომუნიკაცია და გააკეთოთ საჯარო განცხადებები ქვეყანაში დემოკრატიულ ჩავარდნებზე და იმუშაოთ სამოქალაქო საზოგადოებასთან იმისათვის, რომ გაგრძელდეს ქვეყნის სვლა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისკენ," – ნათქვამია ღია წერილში[85], რომელსაც ხელი 62-მა მედია და სამოქალაქო ორგანიზაციამ მოაწერა.

- 27 ივლისს, კოალიციის „მედიის ადვოკატირებისთვის" ინიციატივით მედიის უსაფრთხოების საკითხებზე თბილისში, სასტუმრო „რედისონში" სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე მომხსენებლები იყვნენ როგორც ჟურნალისტები და მედიის ხელმძღვანელები, ასევე ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საერთო ღონისძიების მთავარი მიზანი მედიის დაცვა და ჟურნალისტებზე თავდასხმის შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირების მექანიზმების შემუშავება იყო.[86] ყველა მონაწილე შეთანხმდა, რომ საქართველოში ჟურნალისტებს ყოველდღიურად ემუქრებათ საფრთხე პროფესიული მოვალეობის შესრულებისას და საჭიროა შიდა და საერთაშორისო მექანიზმების აქტიური გამოყენება მედიაგარემოს მონიტორინგის მიზნით.

85. მიმართვა ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3jCZDLZ
86. ვიდეო: TV Pirveli • ტელეკომპანია პირველი «ხელისუფლებისგან ველოდი ბოდიშის მოხდას რომ ვერ შეძლეს ჟურნალისტების დაცვა ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3yDKyhc

თავი 3

მედიის პროტესტი 5 და 6 ივლისის დარღვევებზე

ფოტო: ევრონიუს ჯორჯია
Photo: Euronews Georgia

მასშტაბური ძალადობის შემდეგ მედიამენეჯერებმა, ჟურნალისტებმა და ოპერატორებმა პროტესტი სხვადასხვა ფორმით გამოხატეს. 2021 წლის 14 ივლისს მაუწყებელთა ნაწილმა პროტესტის ერთ-ერთ მწვავე ფორმას მიმართა: ტელეკომპანიებმა: „მთავარი არხი", „TV პირველი", „ფორმულა" და „კავკასია" დილის 07: 00 სთ-დან 24 საათით მაუწყებლობა შეწყვიტეს[87]. ოთხივე ტელევიზიის ეკრანზე, შავ ფონზე, 5 ივლისს დაშავებული ჟურნალისტების სახელები და გვარები იკითხებოდა, ასევე ჩნდებოდა წარწერა – „გადადგეს ირაკლი ღარიბაშვილი! დაისაჯოს ყველა მოძალადე!".

მანამდე, 07 ივლისს მედიის წარმომადგენლები უსაფრთხო სამუშაო გარემოს მოთხოვნით მთავრობის კანცელარიასთან შეიკრიბნენ[88] და 5-6 ივლისს ჰომოფობიური და ძალადობრივი ჯგუფების მიერ ჟურნალისტებზე, ოპერატორებსა და ფოტოგრაფებზე თავდასხმები გააპროტესტეს. აქციის ორგანიზატორი ჟურნალისტური ეთიკის ქარტია იყო. ქარტიის ხელმომწერებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართეს და მოითხოვეს მედიის წარმომადგენლებზე ძალადობის ფაქტების დროული და ეფექტიანი გამოძიება და შესაბამისი პირებისათვის პასუხისმგებლობის, მათ შორის, შს მინისტრისათვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრება.

11 ივლისს მედიის წარმომადგენლებმა, პოლიტიკოსებმა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და აქტივისტებმა რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობასთან, 5 და 6 ივლისის ძალადობის ორგანიზატორების დასჯის მოთხოვნითა და მედიისთვის სოლიდარობის გამოხატვის მიზნით აქცია გამართეს.

აქციის ერთ-ერთი მთავარი საკვანძო მოთხოვნა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის და შს მინისტრის, ვახტანგ გომელაურის დაუყოვნებლივი გადადგომა იყო. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, საქართველოს მთავრობამ არათუ ვერ დაიცვა მედია ძალადობისგან, არამედ, ხელი შეუწყო და წააქეზა ძალადობრივი ჯგუფები, რომლებიც 5 ივლისს სასულიერო პირების მოწოდებით შეიკრიბნენ და მიზანმიმართულად გაუსწორდნენ მედიის წარმომადგენლებს.

11 ივლისის აქციის მთავარი თემა ტვ „პირველის" ოპერატორის, ალექსანდრე ლაშქარავას გარდაცვალება გახდა, რომელსაც 5 ივლისს სასტიკად სცემეს.[89]ჟურნალისტებმა კოორდინაცია დაიწყეს სლოგანით #ლექSOSთვის

მედიამენეჯერების ორგანიზებით მეორე მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქცია პარლამენტის შენობის წინ პრემიერ-მინისტრის გადადგომისა და დამნაშავეთა

87. სტატია: 4 ტელეკომპანია მაუწყებლობას 24 საათით წყვეტს. ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2WMD7aM
88. სტატია: ჟურნალისტებმა 5-6 ივლისს მათზე განხორციელებული ძალადობა გააპროტესტეს. ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3DNIpDN
89. ფოტორეპორტაჟი: აქცია მედიის სოლიდარობისა და პრემიერის გადადგომის მოთხოვნით. ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3t8kPg3

დასჯის მოთხონით 12 ივლისსაც გაიმართა. 2021 წლის 17 ივლისს სოლიდარობის აქცია ჩატარდა ბათუმშიც.[90]

ერთ-ერთი აქცია ჟურნალისტებმა მოქმედი მერის, კახა კალაძის მერობის კანდიდატად ხელმეორედ წარდგენის პარალელურად გამართეს. ღონისძიება 2021 წლის 20 ივლისს მთაწმინდის პარკში პროტესტის ფონზე შედგა.[91] მედიის წარმომადგენლებსა და სამოქალაქო აქტივისტებს თან ჰქონდათ გარდაცვლილი ოპერატორის, ლექსო ლაშქარავას ფოტოები და პლაკატები წარწერით – „დაისაჯონ მოძალადეები".

სიტყვით გამოსვლისას თბილისის მერმა კახა კალაძემ მედიის საქმიანობა ძალადობრივი ჯგუფების ქმედებებს შეადარა.

კახა კალაძის განცხადებას გამოეხმაურა საქართველოს ჟრნალისტური ეთიკის ქარტია. ქარტიამ მოუწოდა[92] ხელისუფლების წარმომადგენლებს საკუთარი აგრესიული დამოკიდებულებით არ წაეხალისებინათ მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმა და შეეწყვიტათ საუბარი აზრის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავ ნორმებზე, მხარი დაეჭირათ მედიის თავისუფლებისთვის და აღედგინათ საქმიანი ურთიერთობის რეჟიმი მედიის წარმომადგენლებთან.

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის" კრიტიკას საჯარო თავდასხმით უპასუხა მმართველმა პარტიამ: „ცალსახაა, რომ ქარტიის განცხადება ემსახურება საზოგადოების დეზინფორმირებას და წარმოადგენს ცილისწამებას", – აღნიშნული იყო „ქართული ოცნების"[93] განცხადებაში.

19 ივლისს მედიამენეჯერებმა მთავრობის კანცელარიასთან აქცია გამართეს და ბათუმში სტუმრად მყოფ ევროსაბჭოს პრეზიდენტს, შარლ მიშელს მიმართეს[94]. მათი განცხადებით, „სანამ ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრია, საფრთხის ქვეშაა ყველა ჟურნალისტისა და მოქალაქის სიცოცხლე"

მედიის წარმომადგენლებმა საპროტესტო აქცია გამართეს პროკურატურის შენობასთანაც. ისინი მოძალადეებისა და ძალადობრივი თავდასხმების ორგანიზატორთა დასჯას მოითხოვდნენ.

"ძალადობის ორგანიზატორებს წარმოადგენდნენ მედიასაშუალება „ალტ-ინფოს" ხელმძღვანელები და წამყვანები. აღნიშნული დასტურდება მათ მიერ საჯა-

90. სტატია: ბათუმში ჟურნალისტების სოლიდარობის აქცია გაიმართა. ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3jB8kGH
91. ვიდეო: „ოცნების" მერობის კანდიდატის წარდგენა პროტესტის ფონზე ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3DEbS2M
92. განცხადება: საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3mTyHtf
93. განცხადება: ქართული ოცნება ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3DG1eZt
94. უნდა იცოდეთ, რომ სანამ ღარიბაშვილი პრემიერმინისტრია, საფრთხის ქვეშაა ყველა ჟურნალისტის და მოქალაქის სიცოცხლე | ჟურნალისტების მიმართვა შარლ მიშელს ხელმსაწვდომია: https: //bit.ly/38uS1Vm

როდ გაკეთებული არაერთი განცხადებით და ძალადობისკენ მოწოდებით. 5 ივლისის შემდეგ ხსენებული მედიის ეთერში მისი ხელმძღვანელები: კონსტანტინე მორგოშია, ზურაბ მახარაძე და სხვები აგრძელებენ მოწოდებებს ჟურნალისტთა მიმართ ძალადობისკენ და ემუქრებიან ჟურნალისტებს, რომ მომავალშიც მოხდება მათზე ანგარიშსწორება. გთხოვთ, გვაცნობოთ მიმდინარეობს თუ არა გამოძიება მედია საშუალება „ალტ-ინფოს" ეთერში გაკეთებულ მუქარის შემცველ განცახდებებზე და ჟურნალისტებზე ძალადობის პირდაპირ მოწოდებების ფაქტზე." – წერდნენ აქციის მონაწილეები ერთობლივ წერილში,[95] პასუხად ჟურნალისტებს აცნობეს[96], რომ გამოძიება მიმდინარეობდა ჯგუფური ძალადობის ფაქტზე და გამოკითხულია 200 ზე მეტი პირი.

95. ჟურნალისტებმა პროკურატურასთან აქცია გამართეს და უწყებას საერთო წერილით მიმართეს ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3BByPBW
96. საქართველოს პროკურატურის 2021 წლის 22 ივლისის კორესპონდენცია: 1 https: //bit.ly/3yz9uGF 2 https: //bit.ly/3t9A8VE

თავი 4

ძალადობისკენ მოწოდება თუ უხამსობა – კომუნიკაციების კომისიის განმარტება

ფოტო: პუბლიკა
Photo: Publika

კომუნიკაციების კომისიამ თავისი ინიციატივით დაიწყო „ალტ ინფოს"[97] კონტენტის შესწავლა, 29 ივლისს კომპანია სამართალდამრღვევად ცნო უხამსობის საბაბით, ამავე დროს სანქციისგან გაათავისუფლა[98]. როგორც კომისიის განცხადებაშია[99] მითითებული, "საქმე ეხება 5, 6, 7 და 12 ივლისს შპს „ალტ-ინფოს" სამაუწყებლო ბადეში განთავსებულ გადაცემებს „ალტ-ინტერვიუ" და „ალტ-ანალიტიკა". აღნიშნულ გადაცემებში როგორც წამყვანების, ისე მიწვეული სტუმრების მიერ ხშირად იყო გამოყენებული უცენზურო ლექსიკა და ხდებოდა უხამსობის ტირაჟირება." გადაწყვეტილებაში[100] კომუნიკაციების კომისიამ არ იმსჯელა ძალადობისკენ მოწოდების საკითხებზე და აქცენტი გააკეთა უხამსობაზე (რომელიც სამოქალაქო სექტორის მიერ ასევე კრიტიკულად შეფასებული პრაქტიკაა) და არა ძალადობის სავარაუდო ტირაჟირებაზე[101], რაც შესაძლოა წარმოადგენდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას. ამასთან, კომისიამ შეისწავლა მხოლოდ რამდენიმე დღის ეთერი და არ მიიღო მხედველობაში ფართო კონტექსტი. მაგალითად, არ შეისწავლა „ალტ-ინფოს" ერთი თვის არქივი. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ კომისიამ ადმინისტრაციული წარმოება ფორმალურად და ზედაპირულად ჩაატარა. მაშინ, როდესაც კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 (საქმის გარემოებათა გამოკვლევა)[102] მუხლის თანახმად, „ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე".

აღსანიშნავია, რომ მანამდე, 6 ივლისს კომისიამ განცხადება[103] გააკეთა და თქვა, რომ „კომუნიკაციების კომისიისთვის მიუღებელია 5 ივლისს მედიის წარმომადგენლებზე მომხდარი ძალადობისა და თავდასხმის ფაქტები, რა დროსაც 50-ზე მეტმა ჟურნალისტმა, ოპერატორმა და ფოტოგრაფმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანებები. ფიზიკური ძალადობის გარდა, ადგილი ჰქონდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, მუქარას და ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლას. მედიის წარმომადგენლებს არ მიეცათ შესაძლებლობა შეესრულებინათ პროფესიული მოვალეობა, მიუხედავად ამისა, მათ საკუთარი სიცოცხლის და ჯანმრთელობის რისკის ფასად მოახერხეს საზოგადოებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია."

97. სტატია: „არ ღირს ოკუპაციის დემონიზება" – რისთვის იბრძვის „ალტ-ინფო" ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2WKR09a
98. სტატია: მარეგულირებელმა „ალტ-ინფოს" 5-6 ივლისის ეთერზე დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა ძალადობისკენ მოწოდებას – „მედიის უფლებები" ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2WJ7Ox2
99. განცხადება: კომუნიკაციების კომისიამ „ალტ ინფო" უხამსობის ტირაჟირების გამო სამართალდამრღვევად ცნო ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3kOkYBc
100. გადაწყვეტილება შპს „ალტ ინფოს" სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3yCQabu
101. დოკუმენტური მასალა : „5 ივლისის ორგანიზება" ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3gW9PgH
102. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3jCmjfc
103. განცხადება: კომუნიკაციების კომისია ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3gUy7aP

თავი 5

რას პასუხობს საქართველოს ხელისუფლება დაზარალებულ ჟურნალისტებს და ოპერატორებს?

ფოტო: ტვ ფორმულა
Photo: TV Formula

5.1. საქართველოს პრემიერ – მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებები

2021 წლის 6 ივლისს, მასშტაბური თავდასხმის შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ მედიაზე ძალადობა არის მიუღებელი და რა თქმა უნდა, დასაგმობი.[104] მან ასევე თქვა,[105] რომ „გამოხატვის თავისუფლება დაცულია, პოლიციის მიმართ უკმაყოფილება საზოგადოების მხრიდან უსაფუძვლოა და განსხვავებული აზრის გამო არავინ იდევნება. მოძალადე ჯგუფებმა კი ამით დააზიანეს როგორც ეკლესიის მიერ დაგეგმილი მშვიდობიანი ლოცვის დემონსტრაცია, ასევე ჩვენი მთავრობა." ამავე დროს პრემიერ-მინისტრმა მედიაზე მასშტაბურ თავდასხმაში „რადიკალური, დესტრუქციული ძალების და მტრების მიერ ეკონომიკური განვითარების პროცესის შეფერხების მცდელობა" დაინახა. ლექსო ლაშქარავას მხარდამჭერ აქციას კი, „პოლიტიკური აქცია და პოლიტიკური აქტი" უწოდა. „მინდა ყველას მოგისამძიმროთ თქვენი კოლეგის გარდაცვალება. ეს არის ძალიან დიდი ტრაგედია ჩვენთვის, ყველასთვის, მაგრამ ძალიან ამორალური საქციელია თქვენი კოლეგის სიკვდილით სპეკულირება და ამით მანიპულირება[106]. სპეკულირებს ერთადერთი დესტრუქციული ძალა, ეს არის სააკაშვილი და მისი გუნდი. მინდა ყველამ კარგად გაიგოს, რომ ვინც ახლა არის გაერთიანებული მის გარშემო, ატარებს სააკაშვილის პოლიტიკას."

2021 წლის 23 ივლისს კი გავრცელდა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის კომენტარი[107], სადაც იგი ჟურნალისტებს „მოძალადეებს" და „პარტიულ აქტივისტებს" უწოდებს. სამოქალაქო საზოგადოების არა ერთი მოწოდების მიუხედავად[108], პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ შეუწყო ხელი მედიის წარმომადგენლების მიმართ აგრესიის გაღვივებას.

2021 წლის 3 სექტემბერს[109] ირაკლი ღარიბაშვილმა 5 ივლისს დაგეგმილ „ღირსების მარშს" „ნაციონალური მოძრაობის" პროვოკაცია უწოდა და მიუთითა, რომ „ორგანიზატორების მიზანია მოახდინონ დისკრედიტაცია ყველა ავტორიტეტის, ყველა ავტორიტეტული ინსტიტუტების: ჯარის, პოლიციის, სასამართლოსი – ამიტომ ებრძვიან ეკლესიას, პატრიარქს, ამიტომ იგონებენ ათას პროვოკაციას; ამიტომ დგანან ისინი ლგბტ მარშის კამპანიის უკან და მათი ორგანიზებით ხდებოდა ის პროვოკაცია, რომელიც თავიდან ავიცილეთ ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალიან სამ-

104. განცხადება: ირაკლი ღარიბაშვილი – ჟურნალისტებზე ძალადობა არის მიუღებელი და რა თქმა უნდა, ეს არის დასაგმობი ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3jzEgLi
105. სტატია: ირაკლი ღარიბაშვილი: 5 ივლისს მედიაზე ძალადობამ დააზიანა ეკლესიის მიერ დაგეგმილი მშვიდობიანი ლოცვის დემონსტრაცია და მთავრობა ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3kK3y8Y
106. სტატია: „კოლეგის სიკვდილით სპეკულირება ამორალურია" – ღარიბაშვილი მედიას ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3yDk2EX
107. ირაკლი ღარიბაშვილის კომენტარი ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3DNAx5d
108. ევროპული საბჭოს პრეზიდენტს, ბატონ შარლ მიშელს – სამოქალაქო სექტორის და მედიის მიმართვა ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3BvuX5m
109. სტატია: ირაკლი ღარიბაშვილი „ღირსების მარშზე": ის პროვოკაცია თავიდან ავიცილეთ ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3DTN3Ab

წუხარო იყო ის, რაც მოხდა და ჩვენ დავგმეთ, არ შეიძლებოდა ჟურნალისტებზე თავდასხმა, კატასტროფული შეცდომა იყო."

5.2. შინაგან საქმეთა მინისტრის პოზიცია

მედიის და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო, საქართველოს პარლამენტს საკონსტიტუციო მანდატის ფარგლებში დაეგეგმა საპარლამენტო მოსმენა 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით და შეეფასებინა მთავრობის მიერ მოქალაქეთა დასაცავად გადადგმული ნაბიჯები.

ფრაქცია „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფმა" 5-6 ივლისს თბილისში განვითარებული მოვლენების საპარლამენტო გამოძიებისათვის დაარეგისტრირა[110] პროექტი დროებითი საგამოძიებო კომისიის შესაქმნელად. დროებითი საგამოძიებო კომისია საქართველოს რეგლამენტის თანახმად, სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით შეიძლება შეიქმნას. გარდა აღნიშნული ინიციატივისა, პარლამენტართა ნაწილი ითხოვდა პარლამენტში შს მინისტრის მოსმენას. თავის მხრივ, შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური ამბობდა,[111] რომ მისთვის **„არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს მისი პარლამენტში მისვლა და 5 ივლისს მომხდარის ახსნა დეპუტატებისთვის".** შს მინისტრი ასევე აცხადებდა, რომ „ის ვერც წარმოიდგენდა, რომ ჟურნალისტებს ასე მასობრივად დაესხმებოდნენ თავს", რომ **„ძალოვან უწყებაში 27-წლიანი მუშაობის განმავლობაში ჟურნალისტებზე ძალადობა, ასეთი მასშტაბით, მას არ უნახავს".**

საბოლოოდ, 2021 წლის 18 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური პარლამენტში მოხსენების მიზნით მივიდა, მას პროტესტით დახვდნენ მედიის წამომადგენლები და ოპოზიციონერი დეპუტატები. დეპუტატებს ხელში ლექსო ლაშქარავას და ირაკლი ღარიბაშვილის ფოტოები ეჭირათ, ხოლო ჟურნალისტებმა სხდომათა დარბაზში გადმოფინეს ბანერები[112] წარწერით – „დასაჯეთ მოძალადეები და აიღეთ პოლიტიკური პასუხისმგებლობა".

მოწოდებების მიუხედავად, მედიის წარმომადგენლებმა უარი თქვეს საპროტესტო ბანერების ჩამოხსნაზე, „ქართულმა ოცნებამ" კი რიგგარეშე სხდომის დახურვის გადაწყვეტილება მიიღო. როგორც პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავამ განაცხადა, პოლიტიკური ჯგუფების მიზანი არ იყო შინაგან საქმეთა მინისტრისთვის შეკითხვების დასმა და პასუხების მიღება. თავად მინისტრმა კი პარლამენტის შენობა ისე დატოვა, რომ მედიასთან კომენტარი არ გააკეთა.

110. სტატია: 5-6 ივლისის მოვლენების შესახებ საგამოძიებო კომისიის შექმნის პროექტი დაარეგისტრირეს ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2Yn9NIx
111. სტატია: ვახტანგ გომელაური: პარლამენტში მივალ და დეპუტატებს ავუხსნი რა მოხდა ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/38y4WpA
112. სტატია „დასაჯეთ მოძალადეები", „აიღეთ პოლიტიკური პასუხისმგებლობა" – ჟურნალისტების პროტესტი პარლამენტში ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3teJSOw

ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიციებს შორის გამონაკლისი იყო საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის განცხადება, რომელმაც ინტერვიუში მიუთითა: [113] „მე მგონია, რომ ამ ძალადობის აღკვეთა შეიძლებოდა. როგორც კი გამოცხადდა, რომ ქაშუეთის ეკლესიაში იქნებოდა ორი პარაკლისი, დილით ეკლესიის წინ გავიარე და ვნახე, რომ იქ შეკრებილი ხალხი სალოცავად ნამდვილად არ ყოფილა მისული."

113. სტატია: მგონია, რომ ამ ძალადობის აღკვეთა შეიძლებოდა – პრეზიდენტი 5 ივლისსზე ხელმისაწვდომია https: //bit.ly/3zQjjSl

თავი 6

სასულიერო პირების ჩართულობა

ფოტო: მეგა ტვ
Photo: Meta TV

2021 წელს მნიშვნელოვნად მოიმატა მართლმადიდებელი სასულიერო პირების[114] მხრიდან მედიის წარმომადგენლებზე სიტყვიერი თუ ფიზიკური თავდასხმების რიცხვმაც[115] .

"თბილისი პრაიდის" წინააღმდეგ აქციაში სასულიერო პირების მონაწილეობა ძალადობრივი ჯგუფის ლიდერმა, გურამ ფალავანდიშვილმა 01 ივლისს დააანონსა[116]. მისი თქმით, 5 ივლისს ათასამდე სასულიერო პირი აპირებდა ქუჩაში გასვლას.

სასულიერო პირების მონაწილეობაზე ღია განცხადება 5 ივლისს დილით[117] გააკეთა გიორგი პავლოვმაც, მღვდელმა საგარეჯოდან, რომელიც ამბობდა, რომ „წინ გველოდება ბრძოლა, ცემა-ტყეპა და ხელკეტები."

„არა ძალადობას კი არა, ვალდებულები ხართ – იძალადოთ სამშობლოსთვის, იძალადოთ ქვეყნისთვის, იძალადოთ სიწმინდისთვის!" – ასე წაახალისა მოძალადეები რუსთაველის გამზირზე სასულიერო პირმა სპირიდონ ცქიფურიშვილმა[118], რომელსაც მოგვიანებით საპატრიარქომ სასტიკი საყვედური გამოუცხადა[119] და მსახურებიდან მხოლოდ დროებით მოხსნა, შსს-მ კი მხოლოდ გამოკითხა[120].

საქართველოს საპატრიარქომ 5 და 6 ივლისის მოვლენებზე რამდენიმე განცხადება გაავრცელა:

2021 წლის 29 ივნისი[121] – საქართველოს საპატრიარქომ საქართველოს ხელისუფლებას მიმართა მოთხოვნით, „ადეკვატურად შეეფასებინა არსებული ვითარება, ემოქმედა სახელმწიფო სტაბილურობისა და სამოქალაქო მშვიდობის ინტერესებიდან გამომდინარე და აერიდებინა ქვეყნისათვის დესტაბილიზაცია და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, – გარდაუვალი შფოთი."

2021 წლის 3 ივლისი[122] – საქართველოს საპატრიარქომ მიმართა მოსახლეობას, მშვიდობიანად გამოეხატა პროტესტი და 5 ივლისს, 17 საათზე, ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან შეკრებისაკენ მოუწოდა: „აღვავლინოთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისი და მსოფლიოს ვაჩვენოთ, რომ ჩვენ ჩვენს ღირსებას ვიცავთ და გადაგვარების თავსმოხვეული მცდელობა ჩვენთვის მიუღებელია," – ნათქვამი იყო განცხადებაში.

114. განცხადება: მარტვილში მომხდარი ფაქტები დანაშულის ნიშნებს შეიცავს ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3jBf86V
115. განცხადება: სასულიერო პირების მხრიდან ძალადობა უკვე ტენდეცია გახდა და სოციალურ მშვიდობას არღვევს ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3DDFIV7
116. სტატია: გურამ ფალავანდიშვილი – ვაპირებთ, 4 ივლისის ღამიდან რუსთაველზე მილიონამდე კაცი გამოვიდეს ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2WJkUKG
117. სტატია: „წინ გველის ცემა-ტყეპა და ხელკეტები"-მედიამ ძალადობაში მონაწილე სასულიერო პირების იდენტიციფირება მოახდინა ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3BCLyEt
118. სტატია „სიყვარულით ნაკარნახევი" ძალადობა ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3mUYzF1
119. სტატია ძალადობისკენ მომწოდებელ მღვდელს ეკლესიაში „სასტიკი საყვედური" გამოუცხადეს ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2V555h2
120. სტატია: დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი გამოკითხვაზე მივიდა ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/38y5uvy
121. განცხადება: საქართველოს საპატრიარქო 29.06.2021 ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3zBmKMk
122. განცხადება: საქართველოს საპატრიარქო 03.07.2021 ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3jC4UTU

საპატრიარქო იქვე განმარტავდა, რომ „ჩვენი ეკლესიისთვის და ჩვენი მოქალაქეებისთვის შემაშფოთებელი და მიუღებელია გარკვეულ საელჩოთა და ევროპარლამენტარების ნაწილის მკვეთრი ჩარევა ჩვენს საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებაში და ვთვლით, რომ ეს მათი უფლებამოსილების გადამეტებაა."

2021 წლის 05 ივლისს[123] ჟურნალისტებსა და ოპერატორებზე მასშტაბური ძალადობის შემდეგ, საქართველოს საპატრიარქომ „ძალიან სამწუხარო", „მიუღებელი" და „ყოვლად დაუშვებელი" უწოდა მედიაზე ძალადობის ფაქტს და მოუწოდა საზოგადოებას პატივისცემის, სიმშვიდისა და აგრესიული ქმედებისაგან გამიჯვნისაკენ. „უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი ადამიანის დაზარალებაც კი საფრთხეს უქნის არა მარტო მას, არამედ აზიანებს მთელ საზოგადოებას და ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სწავლებას," – იყო აღნიშნული განცხადებაში.

2021 წლის 27 ივლისი[124] – საქართველოს საპატრიარქომ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, სადაც მწვავედ გააკრიტიკა მედიის წარმომადგენლები და პრაქტიკულად მოუწოდა სასულიერო პირებს კომუნიკაცია შეწყვიტათ კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის მქონე მედიებთან.

საპატრიარქოს თანახმად, 5 და 6 ივლისის მოვლენების შემდეგ ქართულ მედიაში ვითარება უფრო გამწვავდა და უკიდურესად აგრესიული ხასიათი მიიღო, სიძულვილის ენით კი განსაკუთრებით გამოირჩევა „მთავარი არხი," „ტვ-პირველი" და „ფორმულა", რომელთა ეთერითაც პირდაპირ და მოურიდებლად ხდება საქართველოს საპატრიარქოს, კათოლიკოს-პატრიარქის, მღვდელმთავრების, მღვდლების და მრევლის შეურაცხყოფა; ისმის მუქარაც და ანგარიშსწორებისაკენ მოწოდებებიც.

"მართალია, გარკვეულ გადაცდომას ერთეული სასულიერო პირის მხრიდან ჰქონდა ადგილი, მაგრამ მიზანმიმართულად ხდება კერძო შემთხვევის განზოგადება და საერთოდ ეკლესიის მსახურთა მოძალადეობაზე აქცენტის გაკეთება. მაშინ, როდესაც არც კი ახსენებენ, რამდენმა მოძღვარმა გადაარჩინა იგივე ჟურნალისტები 5-6 ივლისს ძალადობისაგან. ამასთან, რა თქმა უნდა, არ ამხელენ „თბილისი პრაიდის" ორგანიზატორებსა და მხარდამჭერთ, მათ ფსიქოლოგიურ ძალადობებს, პროვოკაციულ განცხადებებსა და ქმედებებს... უხეშად ირღვევა რა ჟურნალისტური ეთიკის ნორმები, საჯაროდ კვლავ ხდება დემონსტრირება ფსიქოლოგიური ძალადობის და სამოქალაქო მშვიდობისათვის ხელის შეშლის, რაც საელჩოებისა და არასამთავრობო სექტორისთვის რატომღაც შეუმჩნეველი რჩება," – მითითებულია საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაში.

ძალადობას ეთანხმებოდნენ მაღალი სასულიერო იერარქებიც. ქუთაისელ-გაენათელი მიტროპოლიტი იაონე ამტკიცებდა[125], რომ 5 ივლისს „ფორმულას" ჟურნალისტმა, რატი წვერავამ „საროჩკა" თვითონ შემოიხია და ჩხუბი დაიწყო.

123. განცხადება: საქართველოს საპატრიარქო 05.07.2021 ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3zOqUjW
124. განცხადება: საქართველოს საპატრიარქო 27.07.2021 ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3zEd6bM
125. სტატია: მეუფე იოანეს მტკიცებით, რატი წვერავამ „საროჩკა" თვითონ შემოიხია და ჩხუბი დაიწყო ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3yD3g8X

"ერთი ჟურნალისტი დაიღუპა და რა ამბავში ხართ," – ასეთი შეფასება გააკეთა მიმდინარე პროცესებზე ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტმა ანტონ ბულუხიამ.[126]

27 ივლისს გამომძიებელ ჟურნალისტთა ჯგუფმა „აი, ფაქტმა" გამოაქვეყნა კვლევა „მღვდლები ძალადობრივ აქციაზე"[127] და იმ სასულიერო პირების სია, რომლებმაც 5 ივლისის მოვლენებს ხელი შეუწყვეს მრევლის წინასწარი მობილიზებით, ორგანიზატორების იდეოლოგიური მხარდაჭერით, თუ პირდაპირი გაგებით, მათ გვერდში დგომით. ისინი სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოებზე „ალტერნატივა საქართველოსთვის", ,,ალტ-ინფოს'' და „ქართული იდეის" ლიდერებთან ერთად დგანან.

ეს სასულიერო პირები 5 ივლისის ძალადობრივი აქციის ორგანიზატორებს სოციალურ ქსელშიც ქომაგობენ. აქტიურად აზიარებენ ლევან ვასაძისა და „ალტ-ინფოს" გვერდის პოსტებს, მათ შორის ზურაბ მახარაძის და ემრე ქუჩუკის განცხადებებს.

მნიშვნელოვანია, რომ საპატრიარქოს განცხადების პათოსი თანხმობაშია მმართველი გუნდის საჯარო განცხადებებთან, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მედიის მიმართ ძალადობის ესკალაციის რისკებს.

126. ვიდეო: ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტ ანტონ ბულუხია ხელმისაწვდომია https: //bit.ly/3DCCUHE

127. კვლევა „მღვდლები ძალადობრივ აქციაზე" ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2WKrKjn

თავი 7

საერთაშორისო გამოხმაურება 5 და 6 ივლისის მოვლენებზე

ფოტო: Associated Press, შახ აივაზოვი
Photo: Associated Press, Shakh Aivazov

5 და 6 ივლისს მედიის წარმომადგენლებზე, აქტივისტებსა და ლგბტქი+ თემის წევრებზე ძალადობრივ თავდასხმებს[128], 11 ივლისს კი „TV პირველის“ ოპერატორის ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებასა[129] და ამის გამო საქართველოში დაწყებულ საპროტესტო გამოსვლებს პარტნიორი ქვეყნების საგარეო უწყებები, ელჩები, ევროპარლამენტარები და უფლებადამცველი ორგანიზაციები გამოეხმაურნენ.[130]

საერთაშორისო პარტნიორები მოუწოდებდნენ[131] საქართველოს ხელისუფლებას, საჯაროდ დაეგმო ძალადობა და დაესაჯა ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედების ჩამდენი ყველა პირი.

- „ვგმობთ დღევანდელ ძალადობრივ თავდასხმებს სამოქალაქო აქტივისტებზე, საზოგადოების წევრებსა და ჟურნალისტებზე და ასევე, ხელისუფლების ლიდერებისა და სასულიერო პირების მხრიდან ამ ძალადობის არდაგმობას“, – ასეთი იყო **ავსტრიის, ბულგარეთის, ესტონეთის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ირლანდიის, ისრაელის, იტალიის, ლატვიის, ლიეტუვას, ნიდერლანდების, ნორვეგიის, ესპანეთის, შვედეთის, გაერთიანებული სამეფოს, გაეროს სისტემის საქართველოში, შეერთებული შტატების საელჩოსა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის** ერთობლივი განცხადება თბილისში განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით[132].
- საქართველოში პრესის თავისუფლების მნიშვნელოვან უკუსვლად შეაფასა[133] მედიის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის – **„რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“** (RSF) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების ხელმძღვანელმა, ჟან კაველიემ 5 ივლისს, თბილისში, ჟურნალისტებზე განხორციელებული თავდასხმები. მან ხაზი გაუსვა, რომ „ძალადობის ინტენსივობა და კოორდინირება უპრეცედენტო იყო“, დაგმო „ხელისუფლების მიერ გამოვლენილი დანაშაულებრივი პასიურობა“ და მოუწოდა დაესაჯა ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედების ჩამდენი ყველა პირი.
- **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის** სახელით პრესსპიკერმა, ნედ პრაისმა განაცხადა[134], რომ „საქართველოს ლიდერები და სამართალდამცველი ორგანოები ვალდებულნი არიან, დაიცვან გამოხატვისა და

128. სტატია: ძალადობრივი ჯგუფები აქციაზე ჟურნალისტებს თავს დაესხნენ ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jyVE2L
129. სტატია: ოპერატორი ლექსო ლაშქარავა გარდაიცვალა https://bit.ly/2WNkKSU
130. სტატია: საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია 5 ივლისის მოვლენებსა და ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებაზე ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mRSHwi
131. სტატია: საერთაშორისო გამოხმაურება თბილისში მომხდარ ძალადობაზე ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mTXNbq
132. ერთობლივი განცხადება თბილისში განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zEXdBX
133. განცხადება: „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38vWQh0
134. განცხადება: ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ნედ პრაისი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gPWaYI

შეკრების თავისუფლების კონსტიტუციური უფლებები და ძალადობაში მონაწილე პირები პასუხისგებაში მისცენ“.

- **გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისმა** დაგმო[135] „ჟურნალისტების და ორგანიზატორების წინააღმდეგ თბილისი პრაიდის დროს განხორციელებული მუქარა და თავდასხმები“ და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ დაიცვას მშვიდობიანი შეკრებების მონაწილეები და გამოიძიოს ლგბტ+ ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობისა და დისკრიმინაციის შემთხვევები.
- **ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის,** დუნია მიატოვიჩის თქმით[136], 5 და 6 ივლისს ჩადენილმა ძალადობამ კიდევ ერთხელ აჩვენა ის საფრთხეები, რომელთა წინაშეც ლგბტ პირები დგანან საქართველოში. მან საქართველოს ხელისუფლებას ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება შეახსენა, რათა „დაცული იყოს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება, უზრუნველყოფილ იქნას დემონსტრანტებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოება და დაისაჯონ თავდამსხმელები“.
- „ვგმობთ იმ ძალადობრივ შეტაკებებს, რომელსაც დღეს თბილისი პრაიდის წინ ჰქონდა ადგილი და რასაც ლგბტ თემის წინააღმდეგ მუქარისა და ჟურნალისტებზე თავდასხმების შემდეგ მისი გაუქმება მოჰყვა. გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება უზრუნველყოფილი და დაცული უნდა იქნას სახელმწიფოს მხრიდან“, – განაცხადა[137] **ევროპის საბჭოს** პრესსპიკერმა, დანიელ ჰოლთგენმა.
- **ეუთო/ოდირმა** ასევე გამოხატა შეშფოთება[138] ძალადობის ფაქტებისა და პრაიდის გაუქმების გამო. „თითოეული ეს მიზანმიმართული თავდასხმა აქტივისტების, ჟურნალისტებისა და მათი საკუთრების წინააღმდეგ სწრაფად და ზედმიწევნით უნდა იქნას გამოძიებული“, – იყო მითითებული ოფიციალური კომენტარში.
- „ძალადობა და მუქარა ჟურნალისტებისა და ლგბტ პირების, მათ შორის, პრაიდის წინააღმდეგ მიუღებელია“, – განაცხადა[139] **ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრომ** და საქართველოს ხელმძღვანელ პირებს და სამართალდამცველებს „იმ პირთა დაცვისკენ მოუწოდა, რომლებიც შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების საკონსტიტუციო უფლებებს იყენებენ“.
- „როდესაც საქართველოს ხელმძღვანელი პირები, ნაცვლად იმისა, რომ კონსტიტუციის გარანტებად იმოქმედონ, ამ თემით სპეკულირებენ და დამნაშავეებს სათანადოდ არ გმობენ, ისინი მხოლოდ ახალისებენ ძა-

135. განცხადება: გაეროს ადამინის უფლებათა ოფისი ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2WIFCuc
136. განცხადება: დუნია მიატოვიჩი ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3Bw7TmR
137. განცხადება: ევროპის საბჭო ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2WJHd3r
138. განცხადება: ეუთო/ოდირი ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/2Y8Mm5m
139. განცხადება: ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრო ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3gRlNIq

ლადობას“, – აღნიშნა[140] **ევროპარლამენტარმა, ვიოლა ფონ კრამონ-მა.** „როდესაც ძალადობრივი ჯგუფი ჟურნალისტებსა და ლგბტ+ პირებს სცემს, ხოლო საქართველოს ხელისუფლება უყურებს ამას, ეს კანონის უზენაესობის ნგრევის სახიფათო ნიშანია“, – დაწერა ევროპარლამენტარმა ტვიტერზე[141].

- **Amnesty International**-ის დირექტორის მოადგილემ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის საკითხებში, დენის კრივოშეევმა კი განაცხადა[142]: „ნაცვლად იმისა, რომ მოვლენების ასეთი განვითარებისთვის მომზადებულიყვნენ და მტკიცე პასუხი გაეცათ ძალადობისთვის, ხელისუფლებამ არაადეკვატურად მცირე რაოდენობის პოლიციელი განათავსა ადგილზე, რომლებიც მხოლოდ ძალადობრივ თავდასხმებზე რეაგირებდნენ და არ უზრუნველყვეს ლგბტ აქტივისტების ორგანიზებული დაცვა“.

140. განცხადება: ვიოლა ფონ კრამონი ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3BzqsXk
141. განცხადება: ვიოლა ფონ კრამონი ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3t4gevf
142. განცხადება: Amnesty International ხელმისაწვდომია: https: //bit.ly/3zDPJ1Z

რეკომენდაციები

მნიშვნელოვანია, რომ აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

საქართველოს პარლამენტი

- საქართველოს პარლამენტმა დაგეგმოს საპარლამენტო მოსმენა 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით, რათა შეფასდეს მთავრობის მიერ მოქალაქეთა დაცვისათვის გადადგმული ნაბიჯები;
- საქართველოს პარლამენტის წევრებმა შეწყიტონ აგრესიული რიტორიკა და სიძულვილის წახალისება მედიის წარმომადგენლების მიმართ და მკაფიოდ, არაორაზროვნად დაგმონ ძალადობრივი მოწოდებები თუ ქმედებები;
- საქართველოს პარლამენტის წევრებმა ღიად დაუჭირონ მხარი ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის ხელშეუხებლობას.

საქართველოს მთავრობა

- საქართველოს მთავრობის წევრებმა შეწყიტონ აგრესიული რიტორიკა და სიძულვილის წახალისება მედიის წარმომადგენლების მიმართ;
- საქართველოს მთავრობამ შეწყვიტოს კრიტიკული მედიის მიმართ ბოიკოტი და უზრუნველყოს მედიასთან საქმიანი ურთიერთობის რეჟიმი;
- მაღალი თანამდებობის პირები საჯაროდ გაემიჯნონ ჟურნალისტების მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობას;
- საქართველოს მთავრობამ მიიღოს ზომები მედიის წარმომადგენლებისათვის კანონით გარანტირებული უსაფრთხო სამუშაო გარემოს შესაქმნელად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

- დროულად ჩაატაროს ეფექტიანი და ობიექტური გამოძიება მედიის წარმომადგენლების დაზიანების ფაქტებზე და უზრუნველყოს დანაშაულის ორგანიზატორთა და შემსრულებელ პირთა გამოვლენა;
- მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საზოგადოებას პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ;
- 5 ივლისის მასშტაბური ძალადობის გათვალისწინებით, სამართალდამცავი უწყებისათვის შექმნას სპეციალური ინსტრუქცია მედიის უსაფრთხოების დაცვის შესახებ.

საქართველოს გენერალური პროკურატურა

- დროულად ჩაატაროს ეფექტიანი და ობიექტური გამოძიება მედიის წარმომადგენლების დაზიანების ფაქტებზე. პროკურატურამ უზრუნველყოს დანაშაულის ორგანიზატორთა გამოვლენა. მათ შორის, ძალადობრივი ქმედებებისაკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტებთან დაკავშირებით;

- ჩაატაროს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძალადობის აღმკვეთი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის გამოძიება, და შეისწავლოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირების, მათ შორის, შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის პასუხისმგებლობის საკითხი;

- მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საზოგადოებას პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობისა და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ.

მედიაზე ძალადობის შეჩერებისა და პრევენციის მიზნით, აუცილებელია სასამართლომ საქმეთა განხილვა წარმართოს დროულად, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით, შეისწავლოს თავდამსხმელების მოტივაცია და თითოეულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში განმარტოს, როგორ ხდება სამართლებრივ სახელმწიფოში მედიის უსაფრთხოების დაცვა.

ასევე, მნიშვნელოვანი იქნება საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატიურმა კორპუსმა გააგრძელოს 5 და 6 ივლისის ძალადობრივი ფაქტების გამოძიების პროცესზე დაკვირვება და ინტენსიური კომუნიკაცია საქართველოს ხელისუფლებასთან მედიაგარემოს გაუმჯობესებისა და ჟურნალისტებისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით.

კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის“ წევრი ორგანიზაციები:

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ლიბერალური აკადემია თბილისი

მედიაკლუბი

მედიის განვითარების ფონდი

მედიის უფლებები

რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსი

სატელევიზიო ქსელი

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

სამართლიანი არჩევნების და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია

საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო
ოპერატორთა ასოციაცია

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

უფლებები საქართველო

ღია საზოგადოების ფონდი

Media Advocacy Coalition
კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის